საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 8 მარტი, 2013 წელი.

№44 (7171)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

მეცოცხლეების მსარდამჭერთა სახელები საკაშვილის „შემოქმედებაში“...

4

მინდია უგრეხელიძე: ნაციონალებმა რეფორმა უნოდეს მოსამართლეთა გაგდებას

3

ინტერპოლი თარგამაძეს ეძებს

8

როგორ ატრიალებდნენ მილიონებს იუსტიციის სამინისტროსა და მთავარ პროკურატურაში!

ბიზნესმენებისთვის ფულის გამოძალვის საქმეში ადეიშვილი, ზოდელავა, ღვინიაშვილი და საყვარელიძე ფიგურირებენ

მთავარი პროკურატურა ყოფილი ხელისუფლების მიერ საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ პრეზიდენტის, ბიზნესმენ ილია კოკაიასთვის დიდი ოდენობით თანხის გამოძალვის საქმეზე მოწმის , ადვოკატ გიორგი ყავლაშვილის ჩვენებას ავრცელებს.

უწყების ვებგვერდზე გავრცელებულ ჩვენებაში ადვოკატი გიორგი ყავლაშვილი იმ სქემის შესახებ ყვება, რომ კოკაიას ახალციხის რაიონის სოფელ აწყურში რამდენიმე ათას ლარად შეფასებული ფერმა 3 მილიონ დოლარად შეაძენინეს. ყავლაშვილის ჩვენებაში ყოფილი მაღალჩინოსნების, მურთაზ ზოდელავას, ზურაბ ადეიშვილის, გიორგი ღვინიაშვილისა და სხვების გვარები ფიგურირებს.

„ინტერპრესნიუსი“ ადვოკატის ჩვენებას უცვლელად გთავაზობთ **(სტილი დაცულია):** „2000 წლიდან ვეწევი საადვოკატო პრაქტიკას, ამჟამად ვარ შპს „იურიდიული ოფისის“ დირექტორი. 2011 წელს ვმუშაობდი იურიდიულ ფირმაში „ბი ჯი აი ლეგალში“ ადვოკატად.

2011 წლის ივნისის თვეში (ზუსტი თარიღი არ მახსოვს) მე დამიკავშირდა ჩემი ნაცნობი, ბიზნესმენი ილია კოკაია და მითხრა, რომ მის შვილს ნინო კოკაიას თბილისში შეემთხვა ავტოსაგზაო შემთხვევა, რის გამოც დაკავებული იყო და აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა. ილიამ აქვე განმიცხადა, რომ მის შვილს იცავდა ადვოკატი მაია სირაძე. ილიას გადმოცემით, მას შეექმნა შთაბეჭდილება, რომ პროკურატურა ხელოვნურად აჭიანურებდა მისი შვილის საქმეზე საშეღავათო გადაწყვეტილების მიღებას...

იხ. 2 გვ.

გილოცავთ 8 მარტს, ქვირფასო ქალბატონებო!

5

სოხუმში 220-ვოლტიანი კრიზისი დაიწყო

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

როგორ ატრიალებდნენ მილიონებს იუსტიციის სამინისტროსა და მთავარ პროკურატურაში!

ბიზნესმენებისთვის ფულის გამოძალვის საქმეში ადეიშვილი, ზოდელავა, ღვინიაშვილი და საყვარელიძე ფიგურირებენ

(პირველი გვერდიდან)

იმის მიუხედავად, რომ დაზარალებული მხარე პრეტენზიას არ აცხადებდა, ამასთანავე განმიმარტა, რომ მაია სირაძე რეგულარულად კონტაქტობდა ზედამხედველ პროკურორართან, მაგრამ მიუხედავად ამისა, პროკურატურა თავს იკავებდა მისი შვილის პატიმრობის გირაოთი შეცვლასთან დაკავშირებით. ვინაიდან გამაჩნდა გარკვეული საქმიანი კონტაქტები პროკურატურის მაღალი თანამდებობის პირებთან, მთხოვა, რომ მოკლე დროში გამერკვია, თუ რას ითხოვდა პროკურატურა მისგან, რათა დროულად გადაწყვეტილიყო მისი ქალიშვილის პატიმრობიდან განთავისუფლების საკითხი. მოცემული საუბრიდან მეორე დღესვე მთავარ პროკურატურაში შევხვდი მთავარ პროკურორს მურთაზ ზოდელავას. მას ვუთხარი, რომ წარმოვადგენდი ილია კოკაიას ქალიშვილის ინტერესებს და გადავეცი ილიას თხოვნა, რომ საკითხი გადაეწყვიტათ დროულად და შეეტყობინებინათ მისთვის, თუ რა ოდენობის ჯარიმაზე იქნებოდა საუბარი. მურთაზ ზოდელავამ მიპასუხა, რომ საკითხს აუცილებლად გადაუწყვეტდნენ, თუმცა საუბარი იქნებოდა ექვს ნულიან ციფრზე, რომლის ზუსტ ოდენობასაც შეგვატყობინებდა იუსტიციის მინისტრთან ზურაბ ადეიშვილთან შეთანხმების შემდეგ. ზოდელავას სამუშაო ოთახიდან გამოსვლისთანავე მისი ნათქვამი შევატყობინე ილია კოკაიას. ამ საუბრიდან რამდენიმე დღეში ილია კოკაიამ მითხრა, რომ ნინო კოკაიას ადვოკატს მაია სირაძეს დაუკავშირდნენ თბილისის პროკურატურიდან და უთხრეს, რომ ნინო კოკაიასთან საპროცესო შეთანხმების მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ 5 000 000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის გადახდის შემთხვევაში და პროკურატურა ელოდა ილიასგან პასუხს აღნიშნულ წინადადებაზე. ამ საუბარში ილიამ ასევე მითხრა, რომ პროკურატურასთან ვაჭრობას მისი მხრიდან აზრი არ ჰქონდა, შეიძლება უარესად გართულებოდა სიტუაცია და დამავალა თანხმობა გადამეცა პროკურატურისთვის. მანვე განმიცხადა, რომ სჭირდებოდა რამდენიმე დღე თანხის მობილიზაციისთვის და მანამდე გამერკვია, რა ანგარიშის ნომერზე უნდა მომხდარიყო თანხის გადარიცხვა. აღნიშნული საუბრიდან დაახლოებით ორ დღეში მე ქ. თბილისის პროკურატურის შენობაში მივედი ანგარიშის ნომრის ასაღებად და შევხვდი საქმის ზედამხედველ პროკურორს. მან განმიცხადა, რომ დასახელებული თანხა ჯარიმის სახით არ უნდა გადახდილიყო და მითხრა, რომ დეტალები თვითონ უნდა გამერკვია ხელმძღვანელობასთან. მე მაშინვე ჩემი მობილური ტელეფონით დავუკავშირდი მთავარ პროკურორს მურთაზ ზოდელავას მობილურ ტელეფონის ნომერზე და ვუთხარი, რომ ილია კოკაია თანახმა იყო დასახელებული თანხის გადახდაზე და ვკითხე თუ სად უნდა გადაგვეხადა თანხა. მურთაზმა მითხრა, რომ აღნიშნული თანხიდან 3 000 000 (სამი მილიონი) აშშ დოლარად ილია კოკაიას ახალციხის მუნიციპალიტეტში უნდა შეეძინა გარკვეული ობიექტი, ხოლო დანარჩენი 2 000 000 (ორი მილიონი) აშშ დოლარი უნდა გადაერიცხა კახეთის მუნიციპალური განვითარების ფონდში, რის შესახებაც მე დამიკავშირდებოდნენ

ადვოკატი გიორგი ყავლაშვილი

როგორც ახალციხის, ასევე კახეთის გუბერნიებიდან. საუბრის დასრულების შემდეგ მე ტელეფონით დავუკავშირდი ილია კოკაიას (როგორც მახსოვს, აღნიშნულ დღეს ილია კოკაია იმყოფებოდა უცხოეთში) და შევატყობინე მურთაზ ზოდელავასთან საუბრის შინაარსი. იმავე ან მომდევნო დღეს ტელეფონით დამიკავშირდა სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის მოადგილე მინდია დევნოსაძე მობილური ტელეფონით და ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელი გელა დემეტრაძე მობილური ტელეფონის ნომრიდან. დასახელებულ პირებს მე გავეცანი და ვუთხარი, რომ ვიყავი ბიზნესმენ ილია კოკაიას წარმომადგენელი და ალბათ ისინი საქმის კურსში იყვნენ, რომ ილია კოკაია აპირებდა 3 000 000 აშშ დოლარის ეკვივალენტ ქონების შეძენას მათ რაიონში. აღნიშნულმა პირებმა დამიდასტურეს, რომ მათთვის ცნობილი იყო ამის თაობაზე და მომცეს ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლის, ვინმე თენგიზ ზედგენიძის მობილური ტელეფონის ნომერი, რომელიც გამარკვევდა შესაძენი ობიექტის აუქციონის დეტალებში. როგორც მახსოვს მე დავუკავშირდი თენგიზ ზედგენიძეს, რომელიც საქმის კურსში იყო ბიზნესმენ ილია კოკაიას მხრიდან შესაძენ ქონებასთან დაკავშირებით 3 000 000 დოლარის ოდენობით გადახდის შესახებ. თენგიზმა მითხრა, რომ შესაძენი ობიექტი მდებარეობდა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში და წარმოადგენდა ფერმას. ამასთანავე მითხრა, რომ მოგვევლინა წარმომადგენელი, რომელიც გაარკვევდა დეტალებში და მიაღებინებდა მონაწილეობას აუქციონში.

მე აღნიშნულის თაობაზე ვაცნობე ილია კოკაიას და ვუთხარი, რომ გამოეყო წარმომადგენელი აუქციონში მონაწილეობის მისაღებად, თან შევატყობინე ანგარიშის რეკვიზიტები. ილიამ მთხოვა, რომ წარმომადგენლად მიმევლინა ჩემი თანამშრომელი და აქვე მითხრა, რომ რამდენიმე დღეში გადაიხდიდა თანხას და ქვითრები შემეძლო ამეღო მასთან, ქ. თბილისში მდებარე საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ ოფისში. მოცემული ქონების შესაძენად მე გამოვყავი ჩემი თანამშრომელი მირდატ ქამადაძე, რომელიც ჩემთან შეთანხმებით, დამოუკიდებლად აგვარებდა ყველა ტექნიკურ საკითხს და საბოლოოდ 4 მილიონ 949 500 ლარად, აუქციონის წესით შეიძინა კიდევაც სოფელ აწყურში მდებარე ფერმა შპს „ჯორჯიან ინვენსტმენტის“ სახელით. ახალციხის გამგეობის თანამშრომლებთან საუბრიდან რამდენიმე

ზურაბ ადეიშვილი

მურთაზ ზოდელავა

დღეში, ჩემი მობილური ტელეფონის ნომერზე დამიკავშირდა კახეთის რეგიონის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი და მითხრა, რომ მისი წარმომადგენლები (თუ ვინ არ მახსოვს) ელექტრონულ ფოსტაზე, მომაწვდიდნენ კახეთის მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდის შესაბამის ანგარიშის ნომრებს, რომელზედაც ილია კოკაიას უნდა შეეტანა 2 000 000 აშშ დოლარი. რამდენიმე დღეში მე მართლაც მივიღე აღნიშნული რეკვიზიტები, რომელიც შემდგომ მივაწოდე ილია კოკაიას. ილია კოკაიამ კი თავის მხრივ რომელიღაც ფირმის სახელით შეიტანა დასახელებული თანხა. 5 000 000 აშშ დოლარის გადახდის ქვითრები მე მომაწოდა ილია კოკაიამ, რომლებიც როგორც მახსოვს შემდგომ ან მე ან მაია სირაძემ მივაწოდეთ საქმის ზედამხედველ პროკურორს. მოცემული გადარიცხვებიდან რამდენიმე დღეში პროკურატურის მხრიდან გამოჩენილი იქნა მართლაც კეთილი ნება და ბრალდებულ ნინო კოკაიასთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, რის შედეგადაც მას ძირითად სასჯელად დაუდგინდა პირობითი მსჯავრი და დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 50 000 ლარის ოდენობით.

მურთაზ ზოდელავამ ერთი კი მითხრა, რომ თუ პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმების მიღწევა სურდა ნინო კოკაიას, ზემოხსენებული პირობა უნდა შეესრულებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე არსებითად განსახილველად წარიმართებოდა სასამართლოში და დადგენილი წესით მიესჯებოდა რეალური სასჯელი.

აქვე მინდა მოვახსენო გამოძიებას, რომ 2013 წლის იანვრის თვეში მოცემულ ფაქტთან დაკავშირებით ილია კოკაიას საჩივარი აქვს შეტანილი მთავარ პროკურატურაში, სადაც თავისი მხრიდან 5 000 000 აშშ დოლარის გადახდას ზემოთ ხსენებული მიზნების მისაღწევად მიიჩნევს გამოძალვად.

დასმულ კითხვაზე გიპასუხებთ, რომ მას შემდეგ რაც მირდატ ქამადაძემ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში, შპს „ჯორჯიან ინვესტმენტის“ სახელით შეიძინა ყოფილი მეცხოველეობის ფერმა, ჩემთვის და ილია კოკაიასთვის გახდა ცნობილი, რომ მოცემული ობიექტის რეალური ღირებულება შეადგენდა რამდენიმე ათას ლარს და არა 5 000 000 ლარს, თუმცა თავიდანვე ვვარაუდობდით, რომ აუქციონზე შესაძენი ქონება იქნებოდა გაცილებით დაბალფასიანი, ვიდრე ილია კოკაია იხდიდა.

დამატებით მოგახსენებთ, რომ მსგავსი სცენარით, 1 000 000 (მილიონი) აშშ დოლარი გამოსძალეს ისრაელის მოქალაქეს ეფრაიმ გურს. კერძოდ, 2010 წელს ეფრაიმ გურის შვილი რონენ გური თავის მამიდაშვილთან შიმონ შაშუაშვილთან ერთად, შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მიერ ბრალდებულის სახით მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს სს კ-ის 18-108-ე მუხლით (მკვლელობის მომზადება). მოცემულ ბრალდების საქმეზე მე ვიცავდი რონენ გურს, რომელიც იმ დროისათვის იყო მიმალვაში. მე საქმიანი ურთიერთობა მქონდა მის მამასთან ეფრაიმ გურთან, რომელიც თვლიდა, რომ მისი შვილი იყო უდანაშაულო და სურდა მის მიმართ საქმის შეწყვეტის მიღწევა. ამ მიზნით მეც და ეფრაიმიც რეგულარულად, სიტყვიერი თუ წერილობითი ფორმით ვშუამდგომლობდით პროკურატურაში საქმის შეწყვეტაზე. ერთხელ შეხვედრაც კი მოვუხერხე ეფრაიმ გურს მთავარი პროკურორის პირველ მოადგილესთან დავით საყვარელიძესთან, რომელთანაც ეფრაიმ გურმა დააფიქსირა თავისი სურვილი, რომ მზად იყო საქმის შეწყვეტის სანაცვლოდ სახელმწიფო ბიუჯეტში მიემართა გარკვეული თანხა. 2010 წელს (ზუსტი თარიღი არ მახსოვს) მთავარი პროკურატურის შენობაში შეხვედრა მქონდა სოდ-ის საპროცესო ზედამხედველ პროკურორთან, რომელმაც მაცნობა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში 1 000 000 (მილიონი) აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ შესაძლებელი იყო რონენ გურის მიმართ საქმის შეწყვეტა, რაც ვაცნობე ეფრაიმს. ეფრაიმს თანხა ეძვირა, თუმცა მე ვაცნობე პროკურატურის პოზიცია, რომ ეს იყო საბოლოო წინადადება, რის გამოც იგი დათანხმდა ამ წინადადებას. ამის შემდეგ სოდ-ის საპროცესო ზედამხედველი პროკურორისაგან ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ამ თანხით ეფრაიმ გურს უნდა შეეძინა ობიექტები ახალციხისა და მცხეთის რაიონებში. პროკურორი მე დამიკავშირდა და მაცნობა ჩასატარებელი აუქციონების თაობაზე და მომცა საკონტაქტო პირების მონაცემები, რომლებიც გასული დროის გამო არ მახსოვს. აღნიშნულის თაობაზე მე ვაცნობე ეფრაიმს და ვუთხარი, რომ საჭირო იყო წარმომადგენლის გამოყოფა აუქციონზე მონაწილეობის მისაღებად. ეფრაიმ გურმა დამაკავშირა მისივე ნდობით აღჭურვილ პირს გიორგი ჩხეიძეს და მითხრა მისთვის გადამეცა აუქციონის მონაცემები და ყველა საჭირო რეკვიზიტები. მე მოვიქეცი ეფრაიმის დავალების შესაბამისად. ჩატარებული აუქციონების შემდეგ (თარიღი ზუსტად არ მახსოვს) მე პერიოდულად ვაცნობებდი პროკურატურას აუქციონების ჩატარებისა და თანხის გადახდის შესახებ, როგორც მახსოვს, სამსახურში თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრებიც მივუტანე, რომელიც გადმომცა გიორგი ჩხეიძემ. აღნიშნულის შემდეგ, კერძოდ კი 2011 წელს მართლაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება რონენ გურის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე, ხოლო შიმონ შაშუაშვილს კი მიუსაჯეს მაღალი რეალური სასჯელი.

დასმულ კითხვაზე გიპასუხებთ, თუ კონკრეტულად რა ობიექტების შეძენა მოითხოვა პროკურატურამ და რა თანხებში არ მახსოვს, ამას არც ვანიჭებდით დიდ მნიშვნელობას, ვინაიდან დარწმუნებული ვიყავით და ცხადი იყო, რომ ობიექტები არარეალურად მაღალ ფასში იქნა შეძენილი“, — აცხადებს ყავლაშვილი.

ინტერპრესი

დავით საყვარელიძემ ეფრაიმ გურისგან 1 000 000 ლარი დაითრია!

პროკურატურა დავით საყვარელიძესთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

საქართველოს მთავარი პროკურატურა საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთ ლიდერ დავით საყვარელიძის დაკითხვაზე დაბარებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. „ინტერპრესნიუსი“ პროკურატურის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

„28 დეკემბერს სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელთა მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი თანხების გაფლანგვის ფაქტზე. საქმეზე გამოძიების მიმდინარეობისას, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან მოპოვებული იქნა 2011-2012 წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციასთან დაკავშირებული დოკუმენტები, რომელთა შესწავლით გაირკვა, რომ 2011-2012 წლებში მთავარი პროკურატურის თანამშრომლების მხრიდან ადგილი ჰქონდა კონკრეტული ბიზნესმენებისათვის ამორტიზებული და გამოუსადეგარი შენობა-ნაგებობების იძულებით შეძენის გზით დიდი ოდენობით თანხების გამოძალვას.

კერძოდ, ერთ-ერთი ეპიზოდის მიხედვით: 2011 წლის 2 დეკემბერს ისრაელის მოქალაქემ ეფრაიმ გურმა მისი წარმომადგენლის გიორგი ჩხეიძის მეშვეობით ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ ტატანისში 412 000 ლარად შეიძინა 168 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული შენობა — კულტურის სახლი. მოცემულ საქმეზე მოწმის სახით დაკითხულმა გიორგი ყავლაშვილმა გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებაში აღნიშნა, რომ 2010 წელს ეფრაიმ გურის შვილის რონენ გურის ბრალდების საქმეზე იგი მონაწილეობდა როგორც ამ უკანასკნელის დამცველი ადვოკატი, რომელიც იმ დროისათვის იმყოფებოდა საქართველოს ფარგლებს გარეთ. ეფრაიმ გური თვლიდა, რომ მისი შვილი იყო უდანაშაულო და სურდა მის მიმართ საქმის შეწყვეტის მიღწევა. გიორგი ყავლაშვილმა, რონენ გურის ბრალდების საქმის შეწყვეტის მიზნით, საქართველოს მთავარ პროკურატურაში ეფრაიმ გური შეახვედრა მთავარი პროკურორის იმჟამინდელ მოადგილეს დავით საყვარელიძეს, რომელთანაც ეფრაიმ გურმა დაფიქსირა თავისი სურვილი, რომ მზად იყო საქმის შეწყვეტის სანაცვლოდ გადაეხდა თანხა. კერძოდ, ყავლაშვილის ჩვენებით დგინდება, რომ ეფრაიმ გურმა თავისი შვილის რონენ გურის მიმართ საქმის შეწყვეტის სანაცვლოდ საერთო ჯამში გადაიხადა 1 000 000 ლარი ახალციხის მუნიციპალიტეტში და მცხეთაში ამორტიზებული უძრავი ქონების შეძენის გზით. გადახდის ქვითრები კი წარუდგინა მთავარ პროკურატურას. აღნიშნული საკითხების სრულყოფილად შესწავლის მიზნით, 2013 წლის 7 მარტს, 15:00 საათზე მთავარი პროკურორის იმჟამინდელი მოადგილე დავით საყვარელიძე გამოძახებულია დაკითხვაზე“, — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

დავით საყვარელიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ დაკითხვაზე გამოცხადებას არ აპირებს და მოსამართლეებს პარლამენტში ელოდება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სამართლის ძიებაში

მინდია უგრეხელიძე:

ნაციონალებმა რეფორმა უწოდეს მოსამართლეთა გაგდებას

რეალურად ცვლილება ასზე მეტ მიმართულებას გულისხმობს

ვარდებით მოსული ხელისუფლება თავის ერთ-ერთ წარმატებულ პროექტად სასამართლო რეფორმას მიიჩნევდა. ნაციონალებისგან ხშირად გვესმოდა, რომ ოპონენტების მხრიდან გამოთქმული შენიშვნები თურმე უსაფუძვლო იყო, ხოლო ევროპელი მეგობრებისთვის ცოტა არ იყოს გაუგებარი. მაგრამ იგივე ევროპელები გაკვირვებულები იყვნენ იმის გამო, თუ რატომ გამოჰქონდა მოსამართლეთა უმეტესობას მხოლოდ გამამტყუნებელი განაჩენი. არაერთხელ დამისვამს კითხვა ადვოკატებისთვის, ბოლო წლების განმავლობაში თუ გაიხსენებდნენ საქმეს, რომელიც მათი წარმატებით დასრულდა? ასეთი იყო ერთი, ან არც ერთი.

ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, მოსამართლეების მისამართით გამოთქმული კრიტიკა გაძლიერდა. იუსტიციის მინისტრმა იმთავითვე რადიკლური ცვლილებები მოითხოვა სასამართლო სისტემისგან, რასაც უზენაესი მოსამართლის მხრიდან დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. პრეზიდენტმა კი პრემიერთან შეხვედრისას ასევე პრინციპულად მოითხოვა – განთავისუფლდეს სასამართლო პოლიტიკური წნეხისგან, რასაც ივანიშვილის გაოცება მოჰყვა. „ჩემი შენ გითხარიო“... თუმცა, მაინც ამჯობინა უშუალოდ კოტე კუბლაშვილს შეხვედროდა და ვითარებას პირადად გაცნობოდა. შეხვედრის დამთავრების შემდეგ პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ კოტე კუბლაშვილს იმაში, რაც სასამართლოში განხორციელდა, დიდი წვლილი მიუძღვისო და მხოლოდ დადებითი ასპექტები იგულისხმა, რაც სოციალურ მედიაში არაერთგვაროვნად აღიქვეს. უმეტესობა მიიჩნევს, რომ პრემიერმა მხოლოდ ფორმალურად შეაქო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რომელსაც რეალობასთან არავითარი საერთო არ აქვს, რადგან **აქამდე მოსამართლეები სწორედ რომ პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებდნენ და არასოდეს უხელმძღვანელიათ იმ პრინციპებით, რასაც ცოდნასთან ერთად ადამიანური სინდისი ჰქვია, და რომელსაც მოსამართლე ხშირად ლოგიკურ განაჩენამდე მიჰყავს.**

ასე თუ ისე, პრემიერის ინიციატივით გამართული შეხვედრის შემდეგ ორივე მხარემ გამოთქვა მზადყოფნა, განთავისუფლდეს სასამართლო ყოველგვარი პოლიტიკური დაკვეთისაგან, გახდეს ის რეალურდ დამოუკიდებელი და ობიექტური.... და, ამასთანავე, ირიბად მაინც აღიარა ნაციონალურმა გუნდმა ის, რომ სასამართლოში რაც ხდებოდა, ეს არ იყო მხოლოდ ხარვეზი, არამედ მან არსობრივად ვერ გაამართლა. რამდენად გულწრფელად ამბობენ ამას, სხვა თემაა, მაგრამ მოსამართლეთა ობიექტურობის დონე რომ ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, ფაქტია. **დღეს ისევ გაურკვეველია, რა ბედი ეწევა იმ საქმეებს, რომელთა განაჩენიც „გამოცდაგამოვლილმა“ მოსამართლეებმა გამოიტანეს.**

* * *

უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე **მინდია უგრეხელიძე** 2000-იანი წლების დასაწყისში სასამართლო სისტემაში დაწყებულ ცვლილებებს იხსენებს და ამბობს, რომ თავიდანვე არასწორი გზით დაიწყო რეფორმების გატარება: **„ის ხელისუფლება, რომელიც მაშინ მოვიდა, მოსამართლეებს დაერია აბსოლუტურად დაუშვებელი მეთოდებით. ეს იყო მზაკვრული ჩანაფიქრი, რათა მათ დაებევებინათ სასამართლოში ადგილები თავიანთი პოლიტიკური წარმატების უზრუნველსაყოფად. მოსამართლეების მიმართ მოქმედებს გაეროს 1985 წლის პრინციპები მათი ხელშეუხებლობისა და შეუცვლელობის შესახებ. მათ არ ჰქონდათ უფლება მოსამართლეები თანამდებობიდან დაეთხოვათ და ჩამოეცილებინათ, მაგრამ ეს იმისთვის სჭირდებოდათ, რომ, რაც შეიძლება მალე აეთვისებინათ მოსამართლეთა 300 თუ მეტი ადგილი, რომ, აბსოლუტური მხარდაჭერა ჰქონოდა მათ პოლიტიკურ გუნდს. როგორ არ ვუკიჟინებდი, არ გინდათ, თქვენთვისაც არ ივარგებს, რატომ უნდა ჩაატაროთ რეფორმა წესის დარღვევით, როდესაც ისედაც წელიწადნახევარია დარჩენილი, ამ დროში კარგი ცვლა მოვამზადოთ, ამავე დროს ესენიც მშვიდობიანად გავუშვათ სახლში-მეთქი. თუმცა, ეს შეგონება მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა.**

მოუმზადებელმა ახალმა ნაკადმა ვერ გასწია ის მძიმე ტვირთი, რასაც მოსამართლეობა ჰქვია და რაც არ გულისხმობს მხოლოდ საქმის ცოდნას. ამის მიუხედავად, მაინც ჯიუტად იჩემებდნენ, რომ ისინი არიან რეფორმატორები, ასე ვთქვათ, უნდათ შეცვალონ მართლმსაჯულება და სამართლის სისტემა, მაგრამ ამას რეტროგრადები და ჩამორჩენილი კონსერვატორები ხელს უშლიან. სინამდვილეში სასამართლო რეფორმა გულისხმობს 100 სხვადასხვა მიმართულებას, თუ მეტს არა. მათ კი რეფორმა უწოდეს მოსამართლეთა გაგდებას, სხვას არაფერს. ახალმა მოყვანილმა მოსამართლეებმა პოლიტიკური დაკვეთა ვერ შეასრულეს. უვიცმა და გამოუცდელმა კადრმა ისიც კი ვერ მოახერხა, რომ თავისი პატრონისა და ბატონისთვის ვალი გაესტუმრებინა იმის სანაცვლოდ, რომ თანამდებობაზე დაინიშნენ. ბოლოს აღიარეს, რომ ეს იყო ჩავარდნა და დასჭირდათ კიდევ ახალი კადრის მოძიება. არც მათ გაამართლეს და თვითონაც იწვნიეს „გამოცდაგამოვლილთა“ უვარგისობა. ასე რომ, ეს იყო ცრუ მოძრაობები, ხოლო ყოველი ცრუ მოძრაობა გვაძლევს იმ შედეგს, რომელიც დღეს საქართველოში გვაქვს“.

მინდია უგრეხელიძის აზრით, სამარცხვინოა ის მდგომარეობა, რაც დღეს საქართველოშია, რადგან გაცილებით კარგი და ობიექტური სასამართლო უნდა გვქონოდა, ჭეშმარიტად საჭირო ცვლილებები რომ განხორციელებულიყო: **„საერთო მართლმსაჯულება ისევ ცრუ მოძრაობებით აპირებს ფონს გასვლას. თუ ადრე იმას ვუკიჟინებდით, რომ გამამართლებელი განაჩენის რაოდენობა მხოლოდ 1 პროცენტი იყო, ახლა ეს 99 პროცენტი გახდა და არავის სჯიან, თქვენ ხომ ეს გინდოდათო, ამბობენ ნიშნისმოგებით. და რა, საინტერესოა, ასე აპირებენ სტატისტიკის გასწორებას? ყველამ ხომ კარგად ვიცით, რომ ახლა ამას აკეთებენ ამ ხელისუფლების ჯიბრზე, ხოლო მაშინ აკეთებდნენ იმ ხელისუფლების საამებლად... და ბიუჯეტის საკითხიც, არანაკლებ საინტერესოა. მთელ რიგ შემთხვევებში საპროცესო გარიგებებიდან მილებული თანხა თურმე არა ბიუჯეტში, არამედ ვიღაცის ჯიბეში მიდიოდა. ეს დოკუმენტურადაც არის დადასტურებული“.**

უზენაესი სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარეს სულაც არ უკვირს ის შენიშვნები, რომელსაც პროკურატურის მისამართით გამოთქვამენ, რომ მტკიცებულებები არ არის დამაჯერებელი, რომ სუსტია პროკურორთა მომზადებული ბრალეულობები, თუმცა, ამის მიუხედავად **მაინც სასამართლოს პოლიტიკურ ნებაზე მიუთითებს, რომელიც ჯერ ისევ ძველი ხელისუფლების ბრჭყალებში რჩება. „არ გამოვრიცხავ, რომ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის მიზეზი პროკურატურის სისუსტის ბრალიც იყოს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ სასამართლო არის კუბლაშვილის ხელში, ხოლო კუბლაშვილს ერთი კაცი – სააკაშვილი მართავს. საქართველომ გაიარა 8-10-წლიანი ციკლი, დროის მონაკვეთი, როდესაც გამომძიებელი საერთოდაც არ ეცნობოდა საქმეს, არც მოსამართლე იკლავდა თავს, რადგან წინასწარ იცოდნენ როგორი იქნებოდა განაჩენი იმიტომ, რომ ერთი კაცის ნება სრულდებოდა. ასეთ პირობებში ვინ მოიკლავდა თავს კვალიფიკაციისთვის? შედეგად მივიღეთ ისეთი მოუმზადებელი კადრები, როგორიც დღეს გვაქვს. წვრთნის გარეშე ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია ემუქრება. ასე ხდება სასამართლო სისტემაშიც“.**

* * *

წინა გვაქვს ახალი ხელისუფლებისა და სასამართლოს თანამშრომლიბის საინტერესო პერიოდი, როცა ერთი მხარე ადასტურებს რეფორმების აუცილებლობას, ხოლო მეორე მხარე ჯიუტად იმეორებს, რომ ამის საჭიროება იმ დოზით და იმ ფორმით, როგორც დაგეგმილია, არ არსებობს. სასამართლოს შეფასებით, იუსტიციის მინისტრი რეფორმების მისეული გეგმის საფარქვეშ სასამართლო ხელისუფლებაზე ზემოქმედებას და გავლენის მოპოვებას ცდილობს. თეა წულუკიანის მტკიცებით კი, პირიქით, **რეფორმები სასამართლოს საბოლოოდ მოუტანს ობიექტურობასა და დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს...**

თეა მოსია

◎ გულახდილად

არც ერთი ნაცი არ გათეთრდების!

პრემიერო, პრემიერო თქვენ გეტყვით...

მთავრობის მეთაურმა რამდენჯერმე საჯაროდ განაცხადა (ტელეეკრანულ საჯაროობას ვგულისხმობ), რომ კრიტიკული შენიშვნების, საერთოდ, ხელისუფლების კრიტიკის საწინააღმდეგო არაფერი არა აქვს და მეტიც, ობიექტურ კრიტიკას მიესალმება; ჰოდა, მეც ვსარგებლობ უმაღლეს ხელისუფალთათვის არცთუ დამახასიათებელი ამგვარი დიდსულოვანი „ნებართვით“ და უშუალოდ ბატონი ბიძინას მისამართით გამოვთქვამ ორიოდ შენიშვნას; რამდენად ობიექტურსა თუ სამართლიანს, ეს დაე, მკითხველმაც განსაჯოს და თავადაც, თუ, რასაკვირველია, თვალში მოხვდება ან „მოახვედრებენ“...

რამდენიმე დღის წინათ, ერთ-ერთ ტელეჟურნალისტთან საუბრისას, პრემიერმა თქვა, რომ სამოქალაქო დაპირისპირება, რომლის მცდელობასა და სამზადისს ყავლგასულ პრეზიდენტს უკიჟინებენ, არ მოხდება, რადგან მას საამისოდ რესურსები არ ეყოფა.

ეს უკაცრავად და, მიამიტური შეხედულება მარტო მთავრობის მეთაურს კი არა, „ქართული ოცნების“ სხვა თვალსაჩინო ფიგურებსაც გამოუთქვამთ, რაც, ცოტა არ იყოს, გასაკვირიცაა და გამაოგნებელიც. მიხეილ სააკაშვილს, ამ ვადაგასულს, თავგასულს, გაუწონასწორებელს და ენადაუმოკლებელს, ასე თავხედურად რომ ჩაფრენია პრეზიდენტობას, რესურსები და რეზერვები კიდეც აქვს და კიდეც ჰყავს! თანაც კაი გვარიანი დოზით; და ეს რომ ასეა, საკმარისია „ასავალ-დასავალის“ ბოლო ნომერში მოთავსებული საქინფორმის დირექტორის არნო ხიდირბეგიშვილის ვრცელი და დამაჯერებელი პუბლიკაციის გაცნობა, სადაც დაწვრილებითაა გაწერილი ყველა ეს რესურსი და რეზერვი, როგორც „უსულო“, ისე „სულიერი“. ფინანსური, ფულადი, იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული (მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ პრაქტიკულად ყველა ტელეარხი პრონაცურია!); მარტო ცენტრში კი არა, რეგიონებშიც (განსაკუთრებით ნაცუმცირესობიანებში) უბრალოდ ცოცხალი ძალის კი არა, შეიარაღებულის, სამხედრო ფორმირებების სახითაც... აპრილია თუ მაისია, შორს აღარ არის და ისე არ მოგვივიდეს, რომ ფაფა ათუხთუხდეს და გვიანღა იყოს თითზე კბენანი; და მე კი არ უნდა „ვაფრთხილებდე“ და „ვაინფორმირებდე“ პრემიერს, რომ რეალურად აფასებდეს სიტუაციას, გრძნობდეს დიდ პოტენციურ საფრთხეს, მე, რიგითი მოქალაქე და რიგითი კალმოსანი, შესაბამისი სამსახურები უნდა ირჯებოდნენ... რომ აღარ ეგონოს, არამც და არამც აღარ იფიქროს, რომ იმ გამოუსწორებელ გიჟს, იმ ძალაუფლებაზე გადარეულსა და ჩაფრენილს, იმ ყველაფერზე წამსვლელსა და ყველაფრის მკადრებელ-მკისრებელს, სათანადო რესურსები არა აქვს სამოქალაქო დაპირისპირების ასაგდებად!!!

არანაკლებ გამაკვირვა კოალიციის ლიდერის კომენტარებმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან შეხვედრის შემდეგ: კოტე კუბლაშვილის ბიოგრაფიას თვალს ვადევნებდი, კარგად ვიცნობ, ვაცალოთ თანამდებობრივი ვადის გასრულება, უზენაესი სასამართლო ობიექტური უნდა დარჩესო (დარჩესო) თითქოს აქამდე იყო ობიექტური), ჩემგან ყოველგვარი მხარდაჭერა ექნებაო; რაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ თურმე საქმეები ატრიალა და ახლაც ატრიალებს – ესაა მისი ბიოგრაფიის ცოდნა?.. აქეთ კიდევ კოტე გადმოდგა და თავისუფალ, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოზე დამიწყო ლაპარაკი, თითქოს ეგ სასამართლო მუდამ „მიშაუფალზე“ დამოკიდებულ-ჩამოკიდებული და მიკერძოებული არ იყო!

ბატონო ბიძინა და სხვა ქაოცნელებო, ჩემგან რომელიმეს ჭკუა როგორ გესწავლებათ, მაგრამ დროა, კარგად ჩავხვდეთ, რომ **არც ერთი ნაცი არ გათეთრდების, რაც არ უნდა ხეხო კოჰაბიტაციითა!..**

ბერდია ბედოიძე

◎ ინფორმაცია

შსს-ს ავტომობილები ჯერ ვერავინ იყიდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალანსზე არსებულ ძვირადღირებულ ავტომობილებს აუქციონზე ხელმეორედ გაიტანენ. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს პრესსამსახურში განუცხადეს, აუქციონის ვადა ოთხშაბათს, 12:00 საათზე დასრულდა, აუქციონში მონაწილეობა არავის მიუღია და ავტომობილის შეძენის სურვილი არავის გამოუთქვამს.

– დაახლოებით ათი დღის ვადაში გამოცხადდება ხელახალი აუქციონი. მანამდე გაანალიზდება, იგივე ფასში უნდა გავიდნენ მანქანები აუქციონზე, თუ უნდა მოხდეს ფასადაკლება, – განაცხადა ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ქეთი კიკნაძემ.

ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალანსზე არსებული 50-მდე ძვირადღირებული ავტომობილის აუქციონზე გატანის შესახებ განცხადება გასული წლის 24 დეკემბერს გააკეთა. აუქციონის ვადა 6 მარტს ამოიწურა, ავტომობილების ფასები 18 000 – 55 000 დოლარის ფარგლებშია.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რაც მოგვივა დავითაო...

მეცოცხეების მხარდამჭერთა სახეები სააკაშვილის „შემოქმედებაში“...

მახსოვს, სკოლაში გვაძლევდნენ ხოლმე დავალებებს დიდი მწერლების შემოქმედებიდან გამომდინარე — ხიდჩატეხილობა ოთარაანთ ქვრივის მიხედვით, ან პატრიოტიზმი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, ქალთა სახეები ვეფხისტყაოსანში და ა.შ.

თუ საქართველოს გადარჩენა უწერია, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს სკოლებში ნაცბანდის განათლების მინისტრების მიერ უკვე დანერგილი, სიყალბეზე აგებული უახლესი ისტორიის მაგივრად, სადაც საქართველოს „გაბედნიერება-აღორძინების“ ათვლა ვარდების რევოლუციით და მისი ბელადით იწყება, მოვა დრო და მართლაც ნამდვილი უახლესი ისტორია დაიწერება საქართველოში და ჩვენს შვილებსა თუ შვილიშვილებს, ზემოთ ჩამოთვლილ გენიოს-კლასიკოსთა გარდა, მაგალითად, ასეთ თემასაც შესთავაზებენ: მეცოცხეების მხარდამჭერთა სახეები საქართველოს უახლეს ისტორიაში...

მანამდე კი, სანამ ეს დრო მოვა, თავად შევეცდები ამ თემის გაშლას...

მედიაზონდერებიდან დაწყებული, რომელთაც, რატომღაც ჟურნალისტებსაც ეძახიან, „პოლიტოლოგ-ექსპერტებით“ გაგრძელებული თუ ახლად გამომხტარი, ნათია მეგრელიშვილის მსგავსი „ინტელექტუალებით“ დამთავრებული (ნაცბანდის მხარდამჭერ ახალ თუ ძველ სახეებს) უკვე გამაღიზიანებელი ინტენსივობით იწვევენ არა მხოლოდ საზმაუწყ-რუსთავი-2-ში, ანუ მიშავიზიებში, არამედ ე.წ. **დაბალან-სირებულ,** „ობიექტურ“ ტელევიზიებშიც.

თუმცა, რაღა სახეები? იმდენად ერთნაირები არიან, ისე ჰგვანან ერთმანეთს, არა მხოლოდ დემაგოგიური რიტორიკით, არამედ უინტელექტო ჰაბიტუსებითაც კი, რომ აშკარაა, ერთი თარგით არიან მოჭრილნი და კახურად თუ ვიტყვით, „გაკეთებულები“, რომ მათ მიმართ სიტყვა „სახეს“ მრავლობით რიცხვში ხმარება არ მგონია მთლად სწორი იყოს, რადგანაც ნებისმიერი მათგანის დემაგოგიურ-უტიფარი ერთი პორტრეტის „დახატვაც“ იკმარებდა იმის საილუსტრაციოდ თუ მათი სახით რასთან გვაქვს საქმე!

მაგრამ, როგორც იტყვიან, არც მთლად მასეა საქმე — უტიფარ, უნამუსო, თავხედი, ანუ, მეცოცხეების სხვა მხადამჭერთა ყველაფერში მსგავსი ვინმე მაზმანიანი, როგორც ჩემმა კოლეგა ჟურნალისტებმა „გამოქექეს“, ერთი პიკანტური რამით მაინც გამოირჩევა — თურმე ნუ იტყვით და პატიმრობისას „ქათმის“ სტატუსით იხდიდაო სასჯელს!

ქათამი, ციხის ენაზე, ევროპაში რომ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის, ჩვენებურად და უფრო გასაგებად კი პედერასტს რომ ვეძახით, მამრობითი სქესის ეგზემპლარს ჰქვია — იმის მიუხედავად, როგორც დიდი მეფე ერეკლე ბრძანებდა **„დედალნი ანუ მამალნი“ არიან და ვინაიდან „მიშას მაზმანიანი“ კრუხივით კაკანებდაო ქათმების საკანში, სახელიც შესაფერისი, ანჟელა, შეურქმევიათო ციხეში...**

ანჟელა მაზმანიანმა შეაგროვა ამას წინათ მილიონზე მეტი (მაშ, მტყუანის, ანჟელჯან!?) ხელმოწერა ვადაგასული მიშას მხარდასაჭერად და რომც მართლა მოეპოვებინოს მილიონს-ჩემტო ხელმოწერები, ქათმის შეგროვებულ ხელმოწერებს რა ფასი აქვს მეცოცხეების მხარდამჭერო ოდიოზებო?

ჰოდა, ვინც ვანო-ლევან მერაბიშვილი-მაისურაძის მიერ 19 აპრილს დაანონსებულ მიტინგზე აპირებთ მისვლას, ჯერ ერთი იცოდეთ, რომ **„კრამიტებს ლაწალუწ ვერ აუტეხამთ“ და მეორეც, მეცოცხეების მხარდამჭერები, ყველანი ერთად და ცალცალკე, ქათმებთან იქნებით ასოცირებულნი!**

არ შემიძლია, რომ ორიოდე სიტყვა, ჩემს „კოლეგა“ მედიაზონდერ ჟურნალისტებზეც არ ვთქვა, ანუ...

მას კოლეგას ვერ ვუწოდებ, ვინც გაყიდა სული თვისი!

1 ოქტომბრამდე, საყოველთაოდ გავრცელებული იყო სულგაყიდული ჟურნალისტების გასამართლებლად შეთხზული მოსაზრება, რომ რა ქნან, ოჯახები ჰყავთ სარჩენი, მათზე ზეწოლა ხორციელდება და ა.შ.

ჯერ ერთი, ოჯახები სხვებსაც გვყავდა სარჩენი, მაგრამ ზეწოლის მიუხედავად, თეთრზე შავიაო, ან პირიქით თქმა არ გვიკადრებია! მეორეც, როგორც ცხოვრებამ გვაჩვენა, ზეწოლა და ოჯახების რჩენა არაფერშუაში ყოფილა — დღეს ხომ აღარ არის, ან თუ არის, არა იმ ძალის, რომ ვერ გაუძლო, ბოლოს და ბოლოს გლდანის „კონცლაგერში“ მაინც ვერ გიკრავენ თავს, მაგრამ ისინი ვინც ადრე უმღერეროდნენ დითირამბებს მეცოცხეებს, მათი აბსოლუტური უმრავლესობა დღესაც იგივეს სჩადის, რუსთავი-2 თუ საზმაუწყის ეთერებიდან!

თენგიზ გოგოტიშვილი, დავით პაიჭაძე, ხათუნა ბერძენიშვილი, ნინო შუბლაძე, დავით კიკალიშვილი, აკაკი გოგიჩაიშვილი, ეკა კვესიტაძე — ამ ხალხის გამოსწორება იქნება?

არა და არა, ეს თავხედი დემაგოგები დღესაც თვალში ნაცარს აყრიან ქართველ საზოგადოებას, დღესაც ტვინების რეცხვით არიან დაკავებულნი და ამიტომ მათაც, თუნდაც მორალური პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ, რადგანაც მეცოცხეთა 9-წლიანი ფაშისტური რეჟიმის დანაშაულობათა ირიბი თანამონაწილენი, უკაცრავად და ჟურნალისტებიც ბრძანდებიან.

აგრეთვე იმაზედაც, თუ ხვალ რაიმე სახის ექსცესი მოხდება, რადგანაც ისინი დღესაც გააფთრებით იცავენ საკუთარი ქვეყნის და ხალხის მტერ, ნაციონალური ხელისუფლების ნარჩენებს.

თუმცა, რატომ მხოლოდ მორალური, აკი ნიურბერგში ნაცისტური გერმანიის აპოლოგეტი ჟურნალისტებიც გაასამართლეს და რადგანაც დღეს სხვა, ლიბერალური დროა, ჩვენი ნაცბანდის აპოლოგეტმა ჟურნალისტებმაც უნდა აგონ პასუხი წლების მანძლზე ტვინების მიზანმიმართული რეცხვისა გამო, ციხით თუ არა იმითი მაინც, რომ სამუდამოდ აეკრძალოთ მედიაში სამსახური — სხვანაირად სამართლიანობა ბოლომდე ვერ აღდგება!..

იმის საილუსტრაციოდ თუ დღესაც როგორ აგრძელებენ ჩემი „კოლეგები“ საზოგადოებისთვის თვალებში ნაცრის შეყრას, ქვემოთ მოგითხრობთ:

გასულ ოთხშაბათს, სასტუმრო ვერე-პალასში გაიმართა ევრაზიის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული შეხვედრა, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზების გზების ძიებას მიეძღვნა და რომელსაც საზოგადოების სხვადასხვა ფენების ფართო წარმომადგენლობასთან ერთად, თქვენი მონამორჩილიც ვესწრებოდი!

არც იმ და, არც მომდევნო დღეს, ტელევიზიებით არ გაშუქებულა ეს შეკრება. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ტელევიზია იმყოფებოდა იქ და რაღაცეები გადაიღეს კიდეც!

სამაგიეროდ, პარასკევს, საზმაუწყზე, **ეკა კვესიტაძის** „აქცენტების“ მთავარი თემა, სწორედ ზემოთ ხსენებული ღონისძიება იყო. გადაცემის სტუმრებად კი ჯემალ სეფიაშვილი, ირმა სოხაძე, მიშა მშვილდაძე და ვიღაც „ფილოსოფოსი“ ლევან ღამბაშიძე ჰყავდათ მიწვეული, რომელთაგან ბოლო ორს, არანაირი შეხება არ ჰქონიათ ევრაზიის ინსტიტუტის ღონისძიებასთან!?

ანტი-რუსული ისტერია! აი, მოკლედ ის პათოსი, როგორც მიჰყავდა გადაცემა **შოთა უტიაშვილის „კნეინა“ კვესიტაძეს** — როგორ თუ რუს ოკუპანტებთან ჩადიხართ და მღერითო და „ფილოსოფოსი“ ყმაწვილი ღამბაშიძე დაიმოწმა, რომელსაც ჰგონია, რომ ფილოსოფოსობას მხოლოდ რომელიმე უნივერსიტეტის დიპლომი ანიჭებს ადამიანს და არა ასაკი, გნებავთ ცხოვრებისეული გამოცდილება, რის გარეშედაც „ფალოსოფოსი“ ხარ მხოლოდ და ეს რომ ასეა, თავად დაამტკიცა — რუსეთი არავითარ ფასეულს არ ქმნის თანამედროვე კულტურაში და მასთან კულტურული ურთიერთობა ვერაფერს მისცემს ქართულ კულტურას, მე მაგალითად აიპოდი მირჩევნია **(აიპოდი კულტურული მიღწევა ჰგონია და არა უბრალოდ ტექნოლოგიური. დ.მ.)** რუსეთს. რომელ დოსტოევსკი-ტოლსტოიზე ლაპარაკობთ, ჩვენმა ახალგაზრდობამ რუსული აღარ იცის, სამაგიეროდ **(როგორ მოგწონთ „სამაგიეროდ“ დ.მ.)** ინგლისური იცი-ანო!..

თუმცა, მთავარი ვნებათაღელვა იმ შეხვედრაზე გამოტანილი რეზოლუციის ერთ-ერთმა პუნქტმა გამოიწვია, რომელიც „ხელზე დაიხვია“ კვესიტაძემ და სადაც იმაზე იყო საუბარი, რომ ომი, არც რუს და არც ქართველ ხალხს, ცალკეული პოლიტიკოსების უპასუხისმგებლო ქმედებების გამო დაიწყოო!

როგორ თუ ეს არ გააპროტესტეთო და შიშისგან აცახცახებულმა ირმა სოხაძემ, მე იმ ქაღალდზე ხელი არ მომიწერია და საერთოდაც, ის შეხვედრა თუ ევრაზიის ინსტიტუტის ეგიდით იყო, მერე გავიგე, გვიანო!..

არა და ხელზე რაც დაიხვია, იმაზე იმის თქმა „დაავიწყდა“ ეკუნას, რომ ომის დაწყების პასაჟი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ციტატა იყო და არა ევრაზიის ინსტიტუტის თვითშემოქმედება!

და საერთოდ, რომელ ჟურნალისტურ კოდექსში წერია, რომ გადაცემაში არ იწვევ ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელს, ბატონ გულბაათ რცხილაძეს, რომელსაც, როგორც სამშობლოს მოღალატე კრემლის აგენტს, 2 საათის განმავლობაში ყველა ბრუნვაში აბრუნებ. აღარაფერს ვიტყვი საკუთარ თავზე, ვინც იმ შეხვედრაზე არც თუ უკანასკნელი გახლდით და მგონი მეც მეკუთვნოდა აქცენტირებული სიტყვის თქმა კვესიტაძის „აქცენტებში“...

დავით მხეიძე

◎ ინფორმაცია

ბარათაშვილი თანამდებობიდან გათავისუფლებული რჩება

— ჩვენ ვერ მოვიძიეთ იურიდიული მექანიზმი, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ თავიდან მოხდეს კენჭისყრა იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც 4 მარტს მივიღეთ. საბჭოზე მყოფმა რვავე წევრმა თქვა, რომ ასეთი მექანიზმი რომც იყოს, ისინი საკუთარი გადაწყვეტილების გადახედვას გენერალური დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ არ აპირებენ. შესაბამისად, საზოგადოებრივ მაუწყებელში კონკურსი გენერალური დირექტორის თანამდებობაზე გრძელდება, — განაცხადა ლევან გახელაძემ.

მისივე თქმით, სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილების შეცვლა მხოლოდ სასამართლოს შეუძლია.

სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვეს საზოგადოებრივი მაუწყებლის საინიციატივო ჯგუფის წევრებმა. როგორც ნინო ზაუტაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, გადაწყვეტილების შეცვლასა და გადახედვაზე სამეურვეო საბჭოს არგუმენტი უსაფუძვლო იყო.

— სამეურვეო საბჭოს წევრმა მელაძემ, რომელიც ამბობს, რომ იურისტია, განაცხადა, არც ერთი კანონი არ ითვალისწინებს გადაწყვეტილების შეცვლას, ან მისი გადახედვას, რაც აბსურდია. მან ვერც ერთი შესაბამისი კანონი ვერ მოგვიყვანა, სადაც მსგავსი რამ ეწერება. შესაბამისად, კვლავ ვუცხადებთ უნდობლობას საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს და ვიბრძოლებთ ჩვენი სიმართლის დასადგენად, — განაცხადა ზაუტაშვილმა.

მისივე თქმით, სამეურვეო საბჭის გადაწყვეტილებებს გაასაჩივრებენ სასამართლოში და ასევე პარლამენტს გაუგზავნიან ბოლო 2 სხდომის ოქმებს, ვიდეო- აუდიო ჩანაწერებს.

ტოლერანტობა თუ სიბრიყვე

არასამთავრობო ორგანიზაცია „ეროვნული ფრონტის“ წარმომადგენლებმა თურქეთის საელჩოსთან აქცია გამართეს. აქციის მონაწილეების განცხადებით, ბათუმში მეჩეთის მშენებლობა მიუღებელია.

როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელი ევგენი მიქელაძე აცხადებს, ტაო -კლარჯეთში ქართული ძეგლების აღდგენას თურქეთს „იუნესკო“ ავალდებულებს და მათი რესტავრაციის სანაცვლოდ, მეჩეთი არ უნდა აშენდეს. მისივე თქმით, ბათუმში მეჩეთები საკმარისი რაოდენობითაა.

— ეს უკვე აღარ არის ტოლერანტობა, ეს არის სიბრიყვე, — აცხადებს მიქელაძე.

„ეროვნული ფრონტი“ ასევე აპირებს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს მიმართოს მოთხოვნით, რომ ბათუმში მეჩეთის მშენებლობა არ დაიწყოს.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ აჟიოტაჟი აფხაზეთში

სოხუმში 220-ვოლტიანი კრიზისი დაიწყო

აფხაზეთში ელექტროენერგიასა და პურზე ფასების ზრდას მოსახლეობამ საპროტესტო აქციებით უპასუხა. დე ფაქტო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ მთავრობამ ასეთი გადაწყვეტილება უკიდურესი აუცილებლობის გამო მიიღო. სეპარატისტული ხელისუფლება ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად მიიჩნევს ურჩი გადამხდელების ფაქტორს, რის გამოც ისედაც მიზერული გადასახადის ამოღება უჭირთ. გადასახადი მინიმალურია, მაგრამ მოსახლეობა გაზრდილი ტარიფის გადახდაზე უარს ამბობს. ბოლო მონაცემებით, აფხაზეთში დენის საფასურს მოსახლეობის მხოლოდ 38% იხდის,ელექტროენერგიის დანაკარგები კი 50%-ს აღწევს.

„აფხაზეთის მოსახლეობა ადრე 1 კვტ/სთ ელექტროენერგიაში 30 კაპიკს (1,7 თეთრი) იხდიდა. დე ფაქტო მთავრობის გადაწყვეტილებით, ეს თანხა გაორმაგდა. გადასახადი იმდენად მინიმალურია, რომ ადგილობრივი ინფრასტრუქტურის შესანახად არასაკმარისია და არც ელექტროენერგიის თვითღირებულებას პასუხობს. გამოდის, რომ ჩვენს ხარჯზე არიან, ელექტროენერგიის მინიმალური ღირებულების გადახდაც არ უნდათ. გარდა იმისა, რომ გადასახადი მიზერულია, მოსახლეობის ნახევარზე მეტი ურჩი გადამხდელია, რის გამო გადასახადის ამოღება ვერ ხერხდება. ეს ეხება როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, საზოგადოებრივ სტრუქტურებსაც. საერთო თანხის მხოლოდ 50 პროცენტის ამოღება ხერხდება. ბოლო ერთი თვეა, ამაზე აფხაზურ ხელისუფლებაში აქტიურად მიდის საუბარი. დარგი უმძიმეს მდგომარეობაშია“, — აცხადებს ექსპერტთა კლუბის წარმომადგენელი ირაკლი ცქიტიშვილი.

დღეს აფხაზეთში ოფიციალურად 70 000 აბონენტია რეგისტრირებული, აქედან 22 000 სოხუმში. დარგის გადასარჩენად აფხაზეთში ელექტროენერგიის მინიმალური გადასახადი 1 რუბლი და 30 კაპიკი, ანუ 7 თეთრი მაინც უნდა იყოს. თუმცა, აფხაზური ელიტა ტარიფის შესაბამისობაში მოყვანას ვერ ბედავს. განსხვავებული ტარიფი მოქმედებს ქართველებით დასახლებულ გალის რაიონში — აქ თითო მოსახლე თვეში ფიქსირებულ 100 რუბლს, ანუ 5 ლარზე ოდნავ მეტს იხდის. თუმცა, ახალი წლიდან სოხუმის მთავრობამ გამრიცხველიანების პროცესი სწორედ გალიდან დაიწყო.

ბოლო დღეებია სოხუმში საპროტესტო აქციები არ წყდება. წინა კვირის ბოლოს „აფხაზეთის ეროვნულმა ფორუმმა“, აფხაზეთის რესპუბლიკის ეროვნულმა პარტიამ და მოძრაობა „ახიაცამ“ დენის ტარიფების მატებასთან დაკავშირებით მორიგი საპროტესტო აქცია გამართეს, სადაც უკვე „მთავრობის“ გადაყენებას ითხოვდნენ. მათ 3000-ზე მეტი ადამიანი მობილიზება შეძლეს.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მომიტინგეთა მოთხოვნით, აქციაზე „პრეზიდენტი“ ალექსანდრე ანქვაბიც მივიდა. იგი მომიტინგეთა მოთხოვნებს გაეცნო. ელექტროენერგიის გაზრდილ ტარიფთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ამ საკითხს „საპარლამენტო კომისია სწავლობს და რასაც იგი გადაწყვეტს, მთავრობაც იმას დაამტკიცებს“.

„ჩემთვის ცნობილია, რომ ქვეყანაში მძიმე ვითარება და სერიოზული პრობლემებია. საჭიროა დრო და ფული, ერთდროულად ყველაფრის მოგვარება შეუძლებელია. ეს პრობლემები, მათ შორის, კორუფციაც, ჩემს გაპრეზიდენტებამდე იყო. გასულ წელს ხელისუფლებამ დაახლოებით 600 მოქალაქის საზღვარგარეთ მკურნალობის ხარჯი დააფინანსა, ამისთვის 92 მლნ რუბლი იყო გამოყოფილი. მთავრობამ დახმარების პროგრამა შეიმუშავა მათ მიმართაც, ვისი სახლებიც ომის დროს დაიწვა და განადგურდა. ამისთვის 140 მლნ რუბლია გამოყოფილი. ადგილობრივი ადმინისტრაციები გადაწყვეტენ, ვის მისცენ ეს დახმარება“, — აცხადებს ანქვაბი.

მან მომიტინგეები დაარწმუნა, რომ მომატებული ტარიფები გადაიხედება, თუკი პარლამენტი ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს. რაც შეეხება დე ფაქტო მთავრობის დათხოვნას, ამაზე ანქვაბმა უპასუხა, რომ მას იმ წუთში არ შეეძლო ეს საკითხი ერთპიროვნულად გადაეწყვიტა.

სოციალური უკმაყოფილების ზრდით აფხაზური ოპოზიციის შანსებიც იზრდება. ოპოზიციის ლიდერი, ყოფილი პრემიერი და უშიშროების მინისტრი, „აფხაზეთის სახალხო ერთობის ფორუმის“ თავმჯდომარე რაულ ხაჯიმბა ამბობს:

„აფხაზური საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი არ ეთანხმება სახელმწიფოს ავტორიტარული მეთოდებით მართვას. ბოლო პერიოდში, მიღებული ერთპიროვნული გადაწყვეტილებები ხალხის ინტერესებს ეწინააღდეგება. პურზე ფასის მომატება, ელექტროენერგიაზე ტარიფის გაზრდა, შედეგად, ყველა მომსახურების გაძვირება, დაბალი ხელფასების ფონზე, ჩვენი მოსახლეობის ნაწილის კიდევ უფრო გაღატაკებას გამოიწვევს“.

სინამდვილეში სეპარატისტულ აფხაზეთს ელექტროენერგიის წარმოება ერთი თეთრიც არ უჯდება. ომის შემდეგ, ენგურჰესის თაღოვანი კაშხალი — ენგურს გამოღმა, ელექტროსადგურები და ვარდნილ-ჰესების კასკადი კი — ენგურს გაღმა დარჩა. ამიერკავკასიაში უდიდეს ჰესს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო მართავს და მხოლოდ ქართველი სპეციალისტები ემსახურებიან, გამომუშავებული ელექტროენერგიის 40 პროცენტი კი სრულიად უფასოდ აფხაზურ მხარეს მიაქვს.

აფხაზეთის უშიშროების ყოფილი მინისტრი ლევან კიკნაძე ამბობს, რომ სოხუმში მდგომარეობა დაძაბულია და თუ ანქვაბმა გარკვეული ზომები არ მიიღო, ამით ოპოზიცია კარგად ისარგებლებს.

„დენის ტარიფის გაძვირებამ აფხაზეთში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. როდესაც დე ფაქტო მთავრობამ ეს ინფორმაცია გააჟღერა, ამას საზოგადოებაში ძალიან დიდი უკმაყოფილება მოყვა. ჯერ ამ ფაქტს მალავდნენ, მაგრამ როგორც იქნა გაამჟღავნეს, ამას დიდი ამბავი მოჰყვა. ასე რომ, ეს შეიძლება სერიოზულ დაპირისპირებაშიც გადავიდეს.

წლების განმავლობაში აფხაზეთში ელექტროენერგიას ისე მოიხმარდნენ, როგორც უნდოდათ. ძალიან დაბალი ტარიფი არ ნიშნავდა იმას, რომ გადასახადს ყველა იხდიდა. პურის ქარხნები და ისინიც, ვინც დიდი ოდენობით მოიხმარდნენ დენს, საფასურს არ იხდიდნენ. ხალხი დარწმუნებულია, რომ არც ახლა გადაიხდიან. ამიტომაც ფიქრობენ, რომ გაძვირება მხოლოდ მათ მცირე შემოსავალზე იმოქმედებს.

ამ შემთხვევაში ოპოზიცია და ხალხი ერთ აზრზე არიან. ოპოზიცია ხალხის ასეთ დამოკიდებულებას გამოიყენებს და შეიძლება ხელისუფლებას ერთიანი ფრონტით შეუტიონ“, — აცხადებს კიკნაძე.

„საერთოდ, ჩინოვნიკებისა და ხელისუფლების მიმართ დიდი ხანია, აფხაზურ საზოგადოებას პრეტენზიები აქვს. უკმაყოფილება ძირითადად იმის გამოა გამოწვეული, რომ ხალხმა არ იცის, რა ხდება მთავრობაში, რას აპირებენ და როგორ აპირებენ. მათ ეს ინფორმაცია არ აქვთ და ამ საკითხს ოპოზიციაც აღვივებს. ასე რომ, შესაძლოა, ანქვაბმა ზოგიერთი ჩინოვნიკი მართლაც გადააყენოს“, — დასძენს კიკნაძე.

ეკა ბაძრაძე

◎ საზოგადოება

გამჭვირვალობა და საჯაროობა

სამართლიანი **საზოგადოების ჩამოყალიბების თუ არსებულის ხელშეწყობის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ დადგენილი ეგრეთ წოდებული „კორუფციის აღქმის ინდექსი“ (CPI). ეს მაჩვენებელი ქვეყნებისა და დამოუკიდებელი ტერიტორიებისთვის იმისდა მიხედვით გამოჰყავთ, თუ რამდენად კორუმპირებულად აღიქვამენ საზოგადოებასა და მასმედიაში მათი საჯარო სექტორი. აღნიშნული ინდექსი კრებსითია, მისი გამოყვანა კი მრავალი ავტორიტეტული საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ კვლევებს ეფუძნება.**

„საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ კორუფციის აღქმის დონე შარშან 176 ქვეყნისა და თავისუფალი ტერიტორიისთვის დაადგინა, რა დროსაც **საქართველოს 52 ქულა მიაკუთვნა და ამ შედეგით 51-ე ადგილი ერგო.** აქვე ვიტყვით, რომ კორუფციის აღქმის შეფასება 100-ქულიანი შკალით ხდება, სადაც „0“ ქულა უკიდურესად კორუმპირებულ, ხოლო 100 ქულა კორუფციისგან ყველაზე სუფთა საჯარო სექტორს ენიჭება.

შარშანდელი გამოკვლევის შედეგებით, მსოფლიოში საზოგადოებაში კორუფციის აღქმის მაჩვენებელი ყველაზე დაბალი იყო **დანიაში, ფინეთში, ახალ ზელანდიაში, შვედეთსა და სინგაპურში,** ხოლო კორუფციის ყველაზე მაღალი დონით გამოირჩეოდნენ ოდიოზური მმართველობით გამორჩეული და არასტაბილური მდგომარეობის მქონე ქვეყნები, როგორებიცაა **მაიანმარი, სუდანი, ავღანეთი, ჩრდილოეთ კორეა და სომალი.**

ანგარიშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 2004 წლის შემდგომ პერიოდში კორუფციის სხვადასხვა სახეობასთან ბრძოლაში საქართველომ საგრძნობ წარმატებებს მიაღწია და ამ დასკვნას ქართული საზოგადოებაც იზიარებს. სწორედ ამის შედეგია, რომ აღნიშნულ რეიტინგში **საქართველო ევროკავშირის რამდენიმე წევრ ქვეყანას, მათ შორის ლატვიას, სლოვაკეთს, ჩეხეთს, ბულგარეთს უსწრებს და უმნიშვნელოდ ჩამორჩება უნგრეთსა და ლიტვას.** საზოგადოებრივ ცხოვრებაში საგრძნობლად შემცირდა წვრილმანი მექრთამეობა, მოხდა ანტიკორუფციული კანონმდებლობის მოდერნიზება და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, უფრო მეტად გამჭვირვალე გახდა სახელმწიფო სტრუქტურებისა და მთავრობის საქმიანობა, თუმცა კი, **ჩვენი მხრიდან დავძენთ, რომ ამ მიმართულებით ახალ ხელისუფლებას კიდევ ზღვა სამუშაო აქვს დარჩენილი ჩინოსნებისთვის „სავარძლის სინდრომის“ მოსაშლელად.** მიღწეულ წარმატებათა დასტურად დასახელებულია საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების მონაცემთა ბაზის შექმნა, მოსახლეობის იურიდიული მომსახურების სისტემის ახალ ლიანდაგებზე

გადაყვანა, რამაც მისი ეფექტიანობა საგრძნობლად გაზარდა, სახელმწიფო შესყიდვების ინოვაციური ელექტრონული სისტემისა და მართვის მექანიზმის ამოქმედება. უნდა ითქვას, რომ აღნიშნულთან დაკავშირებითაც ჩვენს საზოგადოებაში გარკვეული კრიტიკული შენიშვნები არსებობს, რომლებიც, კერძოდ, **ჩინოსანთა ქონებრივი დეკლარაციების გარკვეულ უზუსტობებს, ხშირად საკმაოდ დიდსაც, ასევე სახელმწიფო შესყიდვების პირობების ერთ კომპანიაზე „მორგების“ მანკიერ პრაქტიკას ეხება.**

თავად ანგარიშის ავტორთა აზრით, 2004 წლიდან მოყოლებულ პერიოდში საქართველოში სერიოზული ხარვეზები არსებობდა ანტიკორუფციული სისტემის მოქმედებაში, ხოლო **პარლამენტის როლის შესუსტებამ და სახელისუფლებო ზეწოლის ქვეშ მყოფი სასამართლოელი ხელისუფლებისა და სახელმწიფო აუდიტის მორჩილებამ ქვეყანა დამოუკიდებელი ურთიერთკონტროლის დონის დაქვეითებამდე და საზოგადოების ინტერესთა იგნორირებამდე მიიყვანა.** ყოველივე ამის მასაზრდოებელი გარემო აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელ პირთა ანგარიშვალდებულების ნაკლები ხარისხითა და ფაქტობრივი კონტროლის გარეშე მოქმედება განაპირობებდა, ეს კი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და კორუფციისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნიდა, მათდამი დაქვემდებარებული უწყებები და სამსახურები კი სათანადო ზედამხედველობის გარეშე მოქმედებდნენ. შედეგად, ფაქტობრივად, სახელმწიფო სამსახურები ხელისუფლების პოლიტიკურ ინტერესებზე მორგებულად მოქმედებდნენ, რის გამო უკმაყოფილება შემოდგომაზე საპარლამენტო არჩევნებში მოსახლეობის მიერ უკმაყოფილების გამოხატვაში აისახა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ პრობლემათა გაშუქების მხრივ პრესის თავისუფლების რეიტინგის მონაცემები, რასაც ავტორიტეტიანი არასამთავრობო უფლებისდამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსი“ აქვეყნებს. მისი ექსპერტების აზრით, არსებული სირთულეების გათვალისწინებით, **საქართველო კვლავაც სახელმწიფო წნეხის ნაწილობრივ თავისუფალი ქვეყნების ნუსხაში რჩება** და, ამ მხრივ, გარკვეულ წინსვლასაც აფიქსირებენ.

ზოგადად კი მსოფლიოს 197 ქვეყანაში ჩატარებული გამოკვლევის შედეგებით, მასმედიის საშუალებები 66-ში თავისუფალია, 72-ში (სადაც, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოც შედის) — ნაწილობრივ თავისუფალი, ხოლო დანარჩენ 59-ში კი არსებულ პრობლემებთან საზოგადოების ინფორმირება უკიდურესად შეზღუდულია.

ოთარ ტურაბელიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სამშობლოდან შორს

ნინო ქურდაძის ქაფით ნახატები





ამას წინათ ნიუ-იორკში მანჰეტენზე მდებარე წმინდა ღვთისმშობლის მფარველობის მართლმადიდებელი ეკლესიის დარბაზმა მხატვარ **ნინო ქურდაძის** ნახატების გამოფენას უმასპინძლა. ნინო პროფესიით ბიოლოგია და ისევე როგორც ბავშვების უმეტესობა, პატარაობისას ხატვით ისიც ერთობოდა. თუმცა, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ხატვა მისი პროფესია გახდა. როგორც თავად ამბობს, ბიოლოგის კვალიფიკაცია და ზოგადად საქართველოში 1990-იანებში შექმნილი მდგომარეობა თვითგამოხატვის სრულ საშუალებას არ იძლეოდა. ხატავდა იმისთვის, რათა დაესვენა და ოდნავ მაინც გაქცეოდა რეალობას. მისი ადრეული ნამუშევრები ტუშით შესრულებული შავ-თეთრი ნახატებია. ნინოს დედა კარგად ქსოვს, სახლში ყოველთვის იყო საქსოვი ძაფი და ნინომაც მრავალი ძიების შემდეგ თავისი ტექნიკა შეიმუშავა – იგი თავის ნახატებს ძაფებისგან ქმნის. ასევე ზოგიერთ ნახატს აპლიკაციებს ურთავს და ტილოზე შერეული ტექნიკით მუშაობს. თუმცა, „ძაფებს“ არ აფენს უბრალო მიზეზის გამო. მისი თქმით, მათ მხოლოდ საკუთარი ჭის გასახარებლად ქმნის. თუმცა, ნინო ქურდაძის ამ ნამუშევრებს ბევრი დამფასებელიც და მყიდველიც გამოუჩნდა.

თბილისში რამდენიმე გამოფენა ჰქონდა. 2004 წელს კი ამერიკაში ჩამოვიდა. შემთხვევით საგაზეთო ინფორმაციის მეშვეობით ერთ დიზაინურ სტუდიაში მოხვდა. იქ Fashion Week-ისთვის ცნობილი დიზაინერებისთვის ტანსაცმელს ქსოვდნენ და ნინოც იმ ჯგუფს შეუერთდა. მის მიერ მოქსოვილი ქვედაბოლო კი ერთ-ერთი ამერიკული ჟურნალის ფურცლებზეც აღმოჩნდა. ნინო ქურდაძისა და ამ სტუდიის თანამშრომლობა დღემდე გრძელდება, თუმცა, მხატვარმა 2008 წელს თავისი კომპანია NK International Designs დაარსა, სადაც სხვებთან ერთად დეფილეებისთვის, პოდიუმებისთვის Showroom-ებს ამზადებს და შეკვეთებსაც იღებს. რამდენიმე გამოფენა ნიუ-იორკშიც მოაწყო (Grant Gallery, Studios 313 და სხვა). ის, რაც ყველაზე მეტად უმძიმს, ოჯახისგან შორს ყოფნაა. ამიტომ ასეთი გრაფიკით ცხოვრობს: წელიწადში ორჯერ სამი თვე საქართველოში და სამი – ამერიკაში.

ია მერკვილაძე,
ნიუ-იორკი, აშშ

ეს უთუოდ დაგაინტერესებთ!

ზოგი რამ ქალების შესახებ

– **მეცხრე** საუკუნეში ცხოვრობდა ბავარიის მეფე, რომელიც ცნობილი იყო თავისი სისუსტით ქალის გრძელი და ლამაზი ფეხების მიმართ. ლუდვიგ პირველმა თავისი საყვარლის ლოლა მონტესის ტერფებს ძეგლიც კი დაუდგა და უკვდავყო. თანამედროვე ლუდვიგ პირველად უნდა ჩაითვალოს კვენტინ ტარანტინო – მას არასდროს ენანება ფირი ქალის ლამაზი ფეხების უკვდავსაყოფად.

* * *

34 წლის ანა მაკოვიაკს ყოფილი საყვარლისთვის ზიანის მიყენებისთვის პატიმრობა ემუქრება. სტომატოლოგმა ქალმა 45 წლის მარეკ ოლჟევსკის ყველა კბილი ამოულო. მარეკმა ყოფილ საყვარელს დაშორებიდან რამდენიმე დღეში კბილის პრობლემის მოსაგვარებლად მიმართა. დაშორების გამო გამწარებულმა ანამ პაციენტი დააძინა და ნარკოზის ქვეშ მყოფს ყველა კბილი სათითაოდ დააძრო.

* * *

მუსლიმურ ქვეყნებში პროსტიტუცია აკრძალულია. მეძავებს კანონის დაცვაში „ღამის მოლები“ ეხმარებიან, რომლებიც მეძავსა და კლიენტს ერთი ღამით აქორწინებენ, დილით კი განქორწინების საბუთებს აწერენ ხელს.



* * *

ჩიჩოლინა – მის სახელს უკავშირდება პორნოგრაფიის ლეგალიზაცია პოპკულტურაში. უნგრელმა ემიგრანტმა ანა ილონა სტალერმა მიაღწია იმას, რომ მისი სახელი ელიტური ქრონიკების მუდმივ თანამგზავრად იქცა. ის იტალიის პარლამენტში აირჩიეს დეპუტატად. 1981 წელს ჩიჩოლინამ შექმნა „სიყვარულის პარტია“ და სადამ ჰუსეინთან დაწოლის სურვილი გამოთქვა.

* * *

საჰარის უდაბნოში ცხოვრობს ტუარეგების ტომთა გაერთიანება, სადაც გაცნობის ინიციატივა ქალიშვილს ეკუთვნის. აქ ქალი, როცა 15 წლის ხდება, თავად ირჩევს კავალერს, ანუ საქმროს, სვამს მასთან ერთად, უმღერის, უყვება თავისი ოჯახის შესახებ, ეპატიჟება პაემანზე... ერთი სიტყვით, „აბამს“. მამაკაცს მხოლოდ იმის უფლება აქვს, ჩუმად უსმინოს და როგორც წესი – დაეთანხმოს.

◎ წინ, საქართველო!

მამა-შვილი საგასტროლოდ აშშ-ში

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მმართველი **გიორგი ჟორდანია** საგასტროლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება. ის ორ სხვადასხვა სიმფონიურ ორკესტრთან იდირიჟორებს სან ლუისსა (კალიფორნია) და ჩატანუგაში (ტენესი). საგულისხმოა, რომ ამ კონცერტებზე სოლისტის ამპლუაში წარსდგება ახალგაზრდა ნიჭიერი, პერსპექტიული, საინტერესო ხელწერის მქონე პიანისტი **სალომე ჟორდანია,** რომელიც საფორტეპიანო ხელოვნებას ნატა ნაცვლიშვილის ხელმძღვანელობით ეუფლება თბილისის ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელში. მამა-შვილის შემოქმედებითი ტანდემი ამერიკელ საზოგადოებას წარუდგენს რობერტ შუმანის საფორტეპიანო კონცერტს. ამავე კონცერტებზე გიორგი ჟორდანიას დირიჟორობით აჟღერდება ფრანც შუბერტის მერვე „დაუმთავრებელი“ სიმფონია და პეტრე ჩაიკოვსკის უვერტიურა-ფანტაზია „რომეო და ჯულიეტა“.

ამ კონცერტების გარდა, სხვადასხვა კონკურსების ლაურეატ სალომე ჟორდანიას მრავალფეროვანი სოლო პროგრამებით გაიცნობენ სანტა ბარბარაში, ჩატანუგაში, ჰარისონბურგსა და როჩესტერში.

აკაკი მაღლაკელიძე

◎ მიყვარხარ და მენატრები

ჩემს სუნთქვას გაჩუქებდი, დედა...

პირველი გაზაფხული და ქალთა საერთაშორისო დღესასწაული – 8 მარტია უშენოდ, ჩემო ტკბილო დედიკო...

ძნელია საკუთარ მშობლებზე წერა და განსაკუთრებით დედაზე, რადგან ამ შემთხვევაში სუბიექტური განწყობა ჭარბობს, ყველა მოკვდავს ხომ საკუთარი დედა ამქვეყნად ყველაზე საუკეთესოდ მიაჩნია; მეც არა ვარ ამ მხრივ გამონაკლისი.

დედაჩემი, ანასტასია მირიანაშვილი, პროფესიით ფილოლოგი და ფრანგული ენის სპეციალისტი, გაზეთ „სახალხო განათლების“ ღვაწლმოსილი თანამშრომელი გახლდათ. ყოველმხრივ მოწესრიგებული, როგორც სამსახურში, ასევე სახლში – კერავდა, ქსოვდა, ქარგავდა და არაჩვეულებრივი მზარეული იყო. შემდეგ მძიმე დაავადება მოერია და თორმეტი წლით ლოგინს მიეჯაჭვა. რამდენი რამე გადავიტანეთ ერთად ამ 12 წლის მანძილზე, მაგრამ ვერაგ დაავადებას არ ვნებდებოდით... მხოლოდ შარშან, მარტის თვეში ვეღარ შევძელი დაუნდობელ სიკვდილს წინ აღვდგომოდი და დედა ხელიდან გამომეცალა... როდესაც დედას სუნთქვა გაუჭირდა, ვუთხარი – „რომ შემეძლოს, ჩემს სუნთქვას გაჩუქებდი, დედა“...

ამ დღეებში, საწერი მაგიდის უჯრაში აღმოვაჩინე მეორეკლასელი ნათიას სარვამარტო მისალოცი დედისადმი: „ჩემო ტკბილო დედიკო, გილოცავ ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს. შენი ნათია“...

ახლა ამგვარად მოგმართავ დედა – „დეეეეეე, მიყვარხარ და მენატრები...“

არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ოჯახის წევრებისთვის, ახლობლებისთვის და მეგობრებისთვის თავგანწირვა, ერთგულება და სიყვარული შეუძლიათ, სწორედ ასეთი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნებოდნენ ჩემი მშობლები: დედა – ანასტასია მირიანაშვილი და მამა – მწერალი შოთა ვადაჭკორია.

მეტის თქმა და დაწერა მიჭირს; მხოლოდ ის ვიცი, რომ რასაც დღეს წარმოვადგენ, რაც ვიცი და რაც გამაჩნია, ყველაფერი ჩემი მშობლების დამსახურებაა.

ნათია ვადაჭკორია,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ქართველი ქალი, წმინდა ქეთევანი, რომელიც შაჰ-აბასმა აწამა, პორტუგალიაში „წმინდა გატევანდად“ მოიხსენიება. მისი წამება 1624 წელს ავგუსტინეს ბერებმა ირანში იხილეს და ამ წამების ამსახველი მოზაიკა შექმნეს ლისაბონის ეკლესიაში.

* * *

ვერიკო ანჯაფარიძე, ინგლისის მეცნიერებათა აკადემიამ XX საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო მსახიობად დაასახელა.

* * *

სოფიკო ჭიაურელი საერთაშორისო კონკურსებზე შვიდჯერ იყო დაჯილდოებული პრემიით — ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის.

* * *

სესილია თაყაიშვილს ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ დაუვიწყარი „ბებიის“ გარდა მთავარი როლი არასდროს არ უთამაშია.

X X X

ქართველი მომღერლის ნინო სურგულაძის დებიუტი შედგა ლა-სკალაში.

* * *

ჩრდილოეთ საფრანგეთში, ქალაქ სესონ-სევინიში მიმართვა — „მადმუაზელ“ კანონით აიკრძალა. ადგილობრივი მმართველობა დაეთანხმა ფემინისტური მოძრაობის აქტივისტების მოთხოვნას — სიტყვა მოძველებულად და შეურაცხყოფილად ეცნოთ. ამიერიდან ყველა ოფიციალურ დოკუმენტში ამ სიტყვის ნაცვლად გამოიყენებენ სიტყვას — „მადამ“. სესონ-სევინის მერმა, მიშელ ბიანმა 2008 წლის არჩევნებში სწორედ თავისი პროგრამით — „სქესთა თანასწორობისთვის ბრძოლით“ გაითქვა, რასაც აქტიურად ახორციელებს პრაქტიკაში.

* * *

ტანთან შეფარდებით, ქალებს გაცილებით გრძელი ფეხები აქვთ. ვიდრე მამაკაცებს — ეს სიმართლეა. საშუალო სტატისტიკით, მამაკაცებში ეს პროპორცია 1X1-ეა, ქალებში კი 6X5-ზე. ამაში „დამნაშვე“ ევოლუციაა. ქალების ფეხების სიგრძეზეა დამოკიდებული მენჯის სიგანე, რაც ქალს საშუალებას აძლევს, ატაროს ნაყოფი.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

ქალი კატურები





ბზარი სულში

27 თებერვალს პოეტ რატი ნინუას დაბადების დღე იყო.

რატიმ 2000 წელს მოიკლა თავი 23 წლისამ.

მისი ხანმოკლე სიცოცხლის დასაწყისი და დასასრული ერის ისტორიის ორ უმნიშვნელოვანეს თარიღს ემთხვევა თითქმის ზუსტად.

ისტორიის ამ მცირე მონაკვეთზე დასაწყისში იყო 1978 წლის დიდებული 14 აპრილი, როცა მთელმა ქართველმა ერმა დაიცვა ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსი, ხოლო ეს მონაკვეთი დამთავრდა სამარცხვინო ფაქტით, როცა საქართველოს პარლამენტმა რევაზ მიშველაძისა და გურამ შარაძის თავგანწირული წინააღმდეგობის მიუხედავად, პირადობის მოწმობიდან ამოიღო ეროვნების აღმნიშვნელი პუნქტი.

ამრიგად რატი ნინუას ცხოვრება ორ პერიოდად იყოფა: 1. ქართველი ერის 1978 წლის 14 აპრილის ჯანყიდან ეროვნული მოძრაობის გაძლიერებამდე, 9 აპრილის გმირულ მიტინგებამდე, საქართველოს სათავეში ეროვნული მთავრობის მოსვლამდე და ამ მთავრობის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე. 2. ერის დაყოფა ეროვნული მთავრობის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. ამ მოწინააღმდეგეების მიერ მოწყობილი სამხედრო გადატრიალება, ქვეყანაში ავტომატიანთა თარეში, შევარდნაძის ხრიკები, რომ ქვეყანა ერთი იმპერიის გავლენისგან გამოეყვანა და მეორის გავლენაში შეეყვანა, პარალელურად საქართველოში ველური და პირსისხლიანი კაპიტალიზმის დამკვიდრება.

რატი პირველ გიმნაზიაში სწავლობდა, ხოლო ეროვნული მოძრაობის აზვირთება ტერიტორიულად უკავშირდებოდა მთავრობის სახლის წინ და შემდეგ თვით ამ სახლში მომხდარ მოვლენებს.

რატი ყველაფერს ხედავდა. ეროვნული მოძრაობა, თავისი არსით და ამ არსის განმსაზღვრელი ორი წინამძღოლით ულამაზესი მოვლენა იყო და საოცრად თანხვდებოდა რატის მგრძნობიარე გულის მიდრეკილებას რომანტიკისადმი.

მან ზვიად გამსახურდიაში და მერაბ კოსტავაში იპოვა თანამედროვე რაინდთა და გმირთა სახება. მხურვალე ლექსებს უძღვნიდა მათ და წარმოაჩენდა იმ მთავარ თვისებას, რითაც ისინი უკავშირდებოდნენ რატის სულსაც და საქართველოს ისტორიასაც. ეს თვისება, ცხადია, ქრისტიანობა იყო.

ეროვნული ხელისუფლების დამხობისა და შემდეგ ჯერ ავტომატიანთა თარეშისა და მერე მტაცებლური კაპიტალიზმისთვის ძიძგილაობაში ერის გარე და შიგა მტრებს გაუადვილდათ ეროვნული ნიჰილიზმისა და აპათიის გავრცელება. თავი წამოჰყვეს პრაგმატიზმის ნიღბით მოსულმა გამყიდველებმა.

ამან დათრგუნა ერისთვის გულანთებული ჭაბუკი და ბზარი გაუჩინა სულში...

მოდით, ძმებო, ისე ვიცხოვროთ, რომ თავს აღარ იკლავდნენ რატისნაირი ბიჭები!

გურამ პეტრიაშვილი

რატი ნინუა

იესოსადმი

(ლოცვის მაგიერ)

არ გამიცრუო ბოლო იმედი,
თუ გზას გადავცდი შენკენ მომავალს,
მრუდე გზის გავლა მაინც ბოლომდე
არ დამაცალო, რამეთუ ბრმა ვარ.

არ დამაცალო სვლა მცდარ ბილიკზე,
გზაზე, რომელიც შენსას შორდება,
მე თუ ჯიუტად ვალ დაღუპვისკენ,
თუ ბილწს არ მინდა გამოსწორება,
იმ ბავშვის სული მაინც დაინდე,
ვინც უგნურებამ თვისმა იმსხვერპლა.

სჯობს გამათავო ერთი სიკვდილით,
ვიდრე აღსრულდეს, რაც შენ არა გსურს,
ოჰ, სინდისი-ღა ზეცისკენ ყვირის,
რწმენით მოელის სასჯელს, — შენს პასუხს.

შენ განმიკითხე ყოველი ბიჯი,
რადგან დიდია ცთუნება ჩემში,
ეს ყოველივე ხომ კარგად იცი,
ვზივარ სხეულში, როგორც მყრალ გემში.

ჰოი, უფალო, მომეცი ძალა,
მივხვდე, რა არის ამჟამად სწორი,
გთხოვ, არ გამწირო, არა და არა,
იქნებ გზა შენკენ აღმოჩნდეს შორი.

გთხოვ, რომ არ მიმცე მაცთურს არასგზით,
თუნდ ამას კიდევ ვიმსახურებდე,
სჯობია მომკლა ცეცხლით ანაგზით,
ვიდრე სხვა თვალით ღმერთს გიყურებდე.

ოჰ, ნუ იყოფინ, ღმერთო, უფალო,
რომ სიყვარული მომიკლას ვინმემ,
არ მიმატოვო მტერთან უფაროდ,
მაცთურს სასჯელის ცეცხლი აწვიმე.

მექმენ მფარველად, მექმენ დამხმარედ,
მექმენ დამსჯელად და შემბორკველად,
თუ არ აღმადგენ, როგორც ლაზარეს,
ნუ გამხდი ავის კარზე მროკველად.

უმალ დამფალი, დამასამარე,
ჰა, ჩემი სიტყვა, როგორც დასტური,
ან დამაბრმავე, ან მასაპყარე,
არ მიმატოვო სული ქართული.

აპრილის სუნთქვას და სულიწმინდას,
დე, ნუ დაწნეხავს უხსენებელი,
იესო, ღმერთო, ო, როგორ მინდა,
ჩემივ სინდისით ვიქმნა ვნებული.

აპრილის სუნთქვას და სულიწმინდას,
მართალი ბიჭი წყრომას და ცრემლებს,
შენ შეგავედრებ, თუ ვერ დასდინდა
ასეთი ცრემლი დილეგის კედლებს.

თუ არ ეღირსა განმეორება
ჩემს ლაღ ბავშვობას, ჩემს ლამაზ ედემს,
მფარველი ჩემი ნუ განმშორდება,
ვინაც მჩუქნიდა ბავშვობის გედებს.

შენ დამიფარე, ღმერთო მაღალო,
და შემაწიე მფარველი სული,
ძველო დღეთაო, მარად ახალო,
შენ შემოგცქერი გაოგნებული.

შენ არ გამწირო, თუ ჩემი თავი,
აწ საბოლოოდ მე გამიწირავს,
მომე სამარე და მიწა შავი,
სად თვით უცოდველ ბავშვებსაც სძინავთ.

ოღონდ არ მხადო კერძი ეშმასი,
ოღონდ მომეცი მადლი ხშულ გულში,
თუნდ ხსნა მომეცი გონის შეშლაში,
როგორც მალამო სინდისის წყლულში.

არ მითხრა, არა, რომ გვიანია,
რომ ჩემი შრომა არის ამაო,
მე ვინანიებ, მე ვინანიებ,
მე ვინანიებ, ტკბილო მამაო.

11 აგვისტო, 1999 წ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ აწმყო და პერსპექტივა

საქართველოს პრემიერის პრინციპული პოზიცია

მან უარი თქვა აშშ-ში ვიზიტზე

საქართველოს პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა უარყო ინფორმაცია მოსკოვში თავისი უახლოეს პერიოდში ვიზიტის შესახებ. მისი სიტყვებით, ის ქმაყოფილი იქნებოდა შეხვედროდა რუსეთის ხელმძღვანელობას, მაგრამ მოწვევა ჯერ არ შემოსულა. რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობათა მოწესრიგებას ივანიშვილმა თავისი პრინციპული პოზიცია უწოდა.

„ჩვენ არ გვექნება არანაირი თამაში, მთელი ინფორმაცია, რომელიც გვაქვს, გამოქვეყნდება და ეცნობება ხალხს. მიმაჩნია, რომ ჯერ-ჯერობით ასეთი განცხადებისთვის არანაირი საფუძველი არ გაგვაჩნია, — თქვა ბიძინა ივანიშვილმა ტელეკომპანია „იმედთან“ ინტერვიუს დროს, როდესაც კომენტარს უკეთებდა უახლოეს პერიოდში მოსკოვში თავის გამგზავრებას. საქართველოს პრემიერის სიტყვებით, როგორც არ უნდა იზიდავდეს მას პერსპექტივა — გაემგზავროს რუსეთის დედაქალაქში პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან ან მთავრობის ხელმძღვანელ დიმიტრი მედვედევთან შეხვედრისთვის — მათგან მიწვევა მას ჯერ არ მიუღია. „რაც შეეხება პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრას, ვფიქრობ, ამის შესახებ საუბარი ჯერ ადრეა. არანაირი კონკრეტული მუშაობა ამ მიმართულებით ჩვენ ჯერ-ჯერობით არ გვქონია“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას საქართველოს პრემიერი ერთ-ერთ თავის მთავარ ამოცანად მიიჩნევს სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე ყოფნის პერიოდში. ექსპერტების აზრით, ასეთი განწყობილების დადასტურება დროულია. პრემიერმა ივანიშვილმა გადაწყვიტა — უარი თქვას ვიზიტზე ამერიკის შეერთებულ შტატებში, რაც თავდაპირველად მარტი-აპრილისთვის იყო გათვალისწინებული. „ჩვენ აუცილებლად უნდა მოვაწესრიგოთ ურთიერთობა რუსეთთან და ყველაფერს გავაკეთებთ ამისთვის, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილს ეს ძალიან აღიზიანებს“, — დაგვპირდა პრემიერი. მან დაადასტურა, რომ „საქართველო აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას სოჭის ოლიმპიადაში“, და მხარი დაუჭირა ქართული ანსამბლის „ერისიონის“ გასტროლებს მოსკოვში. ანსამბლის გეგმებმა, პირველად 2008 წლის შემდეგ, გამართოს კონცერტი კრემლში, საქართველოში დიდი რეაქცია გამოიწვია. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილმა მოადგილემ, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გადადგა მთავრობის ახალ საგარეოპოლიტიკურ კურსთან უთანხმობის გამო, კონცერტს უწოდა „ცეკვა ოკუპანტების მიერ დახოცილი გმირების საფლავებზე“.

„როგორ უნდა მოვაწესრიგოთ ურთიერთობანი რუსეთთან? — დასვა რიტორიკული კითხვა ივანიშვილმა. — კულტურა უნდა მუშაობდეს და ეს არის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი ქვეყნებს შორის ურთიერთობათა წინ წაწევისთვის. მათ, ვინც წინააღმდეგია ამ კონცერტისა, უბრალოდ, არ სურთ, რომ ჩვენ მოვაწესრიგოთ ურთიერთობანი მეზობელთან“.

„იმედისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილმა ასევე განაცხადა, რომ უარს აცხადებს პრეზიდენტის პარლამენტში არჩევის იდეაზე, რის შემდეგაც გადაკვრით მიგვანიშნა, რომ მზადაა შესთავაზოს საქართველოს ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს სალომე ზურაბიშვილს, რომელსაც, როგორც თავად პრემიერს, საფრანგეთის მოქალაქეობა აქვს, „მნიშვნელოვანი წინადადება“. ამჟამად ქალბატონი ზურაბიშვილი საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობს. ბევრმა თბილისში პრემიერის სიტყვები აღიქვა, როგორც სალომე ზურაბიშვილის დასახელება პრეზიდენტის პოსტზე მმართველი კოალიცია „ქართული ოცნებისგან“. „ჩვენ არ გვქონია კონკრეტული საუბარი, მაგრამ, როდესაც ის საქართველოში ჩამოდის, მას ხშირად ვხვდები. ჩვენ ორივეს გვაქვს თანამშრომლობის სურვილი. ასე რომ, წინადადება აუცილებლად იქნება“, — დაგვარწმუნა ბატონმა ივანიშვილმა.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

ინტერპოლი თარგამაძეს ეძებს

ინტერპოლმა დაიწყო ქართველი პოლიტიკოსის გივი თარგამაძის ძებნა რუსეთის ხელისუფლების მოთხოვნით. მას დაუსწრებლად სდებენ ბრალს რუსეთში მასობრივ უწესრიგობათა ორგანიზაციაში და რუსეთის ოპოზიციის უკანონო დაფინანსებაში.

„1 მარტიდან, რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს გზავნილის საფუძველზე, თარგამაძეზე გამოცხადდა საერთაშორისო ძებნა ინტერპოლის ხაზით“, — გვაცნობეს ოთხშაბათს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში.

თარგამაძეზე გამოცხადდა ძებნა მისი შემდგომი დაპატიმრებისა და რუსეთისთვის გადაცემის თაობაზე. რუსეთის ხელისუფლებას ასევე განზრახული აქვს გაგზავნოს საქართველოში გზავნილი პოლიტიკოსის დაპატიმრებაზე.

„როგორც კი ინტერპოლი ოფიციალურად დაადგენს ქართველი პოლიტიკოსის ადგილსამყოფელს და ამის შესახებ აცნობებს რუსეთის გენერალურ პროკურატურას, თბილისში გაიგზავნება ოფიციალური მოთხოვნა მის დაკავებაზე“, — გვაცნობა წყარომ, რომელიც იცნობს სიტუაციას.

საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლება იძულებული იქნება დააკავოს ის, ვისზეც გამოცხადებულია საერთაშორისო ძებნა. მას შემდეგ, რაც ის იქნება დაკავებული, რუსეთის მხარე მოითხოვს მის ექსტრადიციას, და მხოლოდ ამის შემდეგ საქართველომ უნდა განიხილოს საკითხი რუსეთისთვის თარგამაძის გადაცემის შესახებ.

2012 წლის 5 ოქტომბერს ტელეარხ „ენ-ტე-ვე“-ზე აჩვენეს ფილმი „პროტესტის ანატომია-2“. მისი შინაარსიდან კერძოდ მოჩანს, რომ მოსკოვის ბანკის ექსპრეზიდენტმა ანდრეი ბოროდინმა გამოთქვა მზადყოფნა გამოყოს დიდი თანხა რუსეთში არასისტემური ოპოზიციის მხარდასაჭერად.

ფილმის შემქმნელთა მტკიცებით, შუამავლად გამოდიოდა საქართველოს თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელი თარგამაძე, ხოლო გეგმის ერთ-ერთ შემსრულებლად — „მემარცხენე ფრონტის“ კოორდინატორი სერგეი უდალცოვი, აგრეთვე ნაციონალისტები.

ამ ინფორმაციის შემოწმების დროს 17 ოქტომბერს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე რუსეთის მხრიდან უდალცოვთან, მის თანაშემწე კონსტანტინ ლებედევთან, აგრეთვე სახელმწიფო დუმის დეპუტატის თანაშემწის ლეონიდ რაზვოზჟაევთან დაკავშირებით.

ლებედევი და რაზვოზჟაევი დააპატიმრეს, უდალცოვი კი თავდაპირველად იმყოფებოდა ხელმოწერით გაუსვლელობის შესახებ, მაგრამ თებერვალში იგი და ლებედევი გადაიყვანეს შინა პატიმრობაში.

დეკემბერში რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის ოფიციალურმა თავმჯდომარემ ვლადიმერ მარკინმა განაცხადა, რომ საქმის მასალების თანახმად, თარგამაძე მონაწილეობას ღებულობდა 6 მაისს ბოლოტნაიას მოედანზე მასობრივი უწესრიგობის ორგანიზებაში და რუსეთის ოპოზიციის დაფინანსებაში.

მაგალითად, გამოძიება არ გამორიცხავს, რომ ჩხრეკის დროს 2012 წლის 11 ივნისს ოპოზიციონერ ილია იაშინისგან ამოღებული ფული 123 ათასი რუბლისა და 12,5 ათასი დოლარის ოდენობით, შეიძლებოდა შემოსულიყო სწორედ თარგამაძისგან, და ის გათვალისწინებული იყო უწესრიგობის ორგანიზაციისთვის. იაშინს არ განუცხადებია გამომძიებლებისთვის, თუ საიდან ჰქონდა მას ეს ფული, თუმცა, როგორც გამომძიებლები ამტკიცებენ, „მონაცემთა ფედერალურ ბაზაში ცნობები იაშინის, როგორც გადასახადის გადამხდელზე, არ არის“.

14 თებერვალს რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება ქართველი პოლიტიკოსის ბრალდების შესახებ მასობრივი უწესრიგობის მომზადების საქმესთან დაკავშირებით, რის შემდეგაც ერთ კვირაში მოსკოვის ბასმანნის სასამართლომ სანქცია გასცა მის დაუსწრებელ დაპატიმრებაზე.

ბრალდებულის ადვოკატმა გალინა სტეპანენკომ 26 თებერვალს გვაცნობა, რომ შეიტანა აპელაცია სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მისი დაცვის ქვეშ მყოფის დაუსწრებელი დაპატიმრების შესახებ. ამავე დროს, მან აღნიშნა, რომ თავად თარგამაძე ან მისი წარმომადგენლები მას არ დაკავშირებიან.

გამოძიების მონაცემებით, ქართველი პოლიტიკოსი კვლავ ეწევა კონსულტაციებს ოპოზიციონერებთან რუსეთში და სხვა ქვეყნებში. თავად თარგამაძე ირწმუნება, რომ არ შეხვედრია რუსეთის ოპოზიციონერებს და არც ერთ მათგანს იგი არ იცნობს. ამავე დროს იგი არ უარყოფს, რომ მონაწილეობდა ეგრეთ წოდებულ „ვარდების რევოლუციებში“ დსთ- ქვეყნებში. მისი სიტყვებით, მან შეაგროვა კომპრომატი რუსეთის საგამოძიებო ორგანოების ხელმძღვანელობაზე და ხელისუფლების წარმომადგენლებზე.

„რევოლუციების დროს ვიყავი უკრაინაში, ყირგიზეთში, სხვადასხვა სიტუაციების დროს ბელარუსში. ეტყობა, მათ გადაწყვიტეს, რომ მე განზრახული მქონდა რუსეთისთვისაც მიმეხედა, შეიძლება, მიმეხედა კიდეც“, — თქვა მან.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕГОСУДАРСТВЕННАЯ ГАЗЕТА

დედამიწის ზურგზე

ჩრდილოეთი კორეის ცენტრალურმა გაზეთმა გამოაცხადა სამხრეთთან ზავის გაწყვეტის შესახებ

სტატია სათაურით „შეთანხმება ზავის შესახებ უკვე აღარ არსებობს“ დაიბეჭდა ხუთშაბათს „ნოდონ სინმონში“. მასში ნათქვამია, რომ დოკუმენტს, რომელსაც ხელი 60 წლის წინათ მოეწერა, „უკვე აღარ შეუძლია მოგვცეს კორეის ნახევარკუნძულზე მშვიდობის უზრუნველყოფის გარანტია“. უფრო ადრე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება იმუქრებოდა 11 მარტის შეთანხმების გაუქმების შესახებ.

* * *

სირიელმა ბოევიკებმა წამოაყენეს ულტიმატუმი, დაიმუქრნენ — გოლანის სიმაღლეებზე დაკავებული მშვიდობისმყოფელები აძციონ „სამხედრო ტყვეებად“

მეამბოხეებმა ბრალი დასდეს გაეროს მეთვალყურეებს ბაშარ ასადის რეჟიმთან და ისრაელთან თანამშრომლობაში და მისცეს 24 საათი იმისთვის, რათა სირიის ჯარებმა დატოვონ უახლოესი სოფელი ჯამლა. გაერომ დაგმო მეამბოხეების მოქმედებანი და მოითხოვა გაათავისუფლონ მშვიდობისმყოფელები „წინასწარი პირობების გარეშე“.

* * *

მექსიკის კურორტზე გიგანტურმა ტალღამ ოკეანეში ჩაითრია პლაჟზე მოსეირნე ორი ტურისტი

ხანდაზმული ქალბატონი და მამაკაცი გაიტაცა ოკეანეში გიგანტურმა ტალღამ, როდესაც ისინი სეირნობდნენ კაბო-სან-ლუკასეს სანაპიროზე, ქალაქისა, რომელიც ძალიან უყვართ ჰოლივუდის ვარსკვლავებსა და ამერიკელ ტურისტებს. 65 წლის ქალბატონი დაიღუპა, მისი 70 წლის თანამგზავრი მძიმე მდგომარეობაშია.

* * *

ჩავესის წასვლით რუსეთმა შეიძლება ვენეს უელაში დაკარგოს უფრო მეტი, ვიდრე ელოდებოდა, ამბობენ ექსპერტები

ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა, რომ არანაირი რეალური თანამშრომლობა მოსკოვსა და კარაკასს შორის არ ყოფილა, და რომ ერთ-ერთი ყველაზე ამბიციური პროექტი — ეს „დიდი მითია“. ახლა კურსი აღებულია არჩევნებზე — რუსეთისთვის იდეალური იქნებოდა ჩავესის „მემკვიდრის“ არჩევა. თუმცა, ოპოზიციას შანსები საკმაოდ დიდი აქვს, და ამ შემთხვევაში კონტრაქტების შენარჩუნება რუსეთის ფედერაციისთვის გახდება „პროგრამა მინიმუმი“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ წაფელეტონებული

ხაფანგში გაბმული ტურები

სტუდენტობისას ზაფხულში, არდადეგებზე, ჩემს სოფელში, გურიაში ჩავედი. მეზობლის ბიჭები მესტუმრნენ. ერთს ტურა დაეჭირა, ხაფანგში ფეხით გაბმული მოიყვანა და მინდორში დასვა. ტურა არ იმჩნევდა, ისე უენოდ ითმენდა ტყვეობასა და ტკივილს. ქათმები ბლომად გვყავდა და ეზოში დასეირნობდნენ. ტურის დანახვაზე შეკრთნენ, მაგრამ, ალბათ, მიხვდნენ, რომ საშიში აღარ იყო, და არ დამფრთხალან. პირიქით, ტურას სიმინდი გადავაყარეთ, მოვიდნენ და შორიახლოს დაყრილ მარცვლებს „კო, კო“-ს ქათმური შეძახილებით იტაცებდნენ. ტურა კი აბრამის ბატკანივით იწვა და ისე სათნოდ გამოიყურებოდა, ვითომცდა ქათმებისაკენ ერთხელაც არ გაეხედოს.

ეს ამბავი თბილისში ბევრს ვუამბე.

ამ დღეებში მიხეილ სააკაშვილი და გიგი უგულავა ტელევიზიით რომ გამოდიოდნენ, ერთმა ტელეფონით სიცილით მითხრა: ნახე, სააკაშვილი და უგულავა შენს ტურასავით არ გამოიყურებიანო?!

დიახ, დიახ, ისე გამოიყურებიან და ლაპარაკობენ, ვითომცდა არანაირი მონაწილეობა არ მიეღოთ ათიათასობით ადამიანის სამსახურიდან გაძევებაში, გაღატაკებასა და გაუბედურებაში, მეცნიერების, განათლების მოშლასა და ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ მიზანმიმართულ ბრძოლაში! ყველაფერი ეს ხომ ჩემ თვალწინ ხდებდა და ჩემს თავზეც ვიწვნიე.

— ხელფასები გავეცით, ჩვენს ჯიბეებში ხომ არ ჩაგვიდვიაო?! — ურცხვად აცხადებს ბატონი გიგი უგულავა. იმას კი არ ამბობს, თუ ვისთვის და რა მიზნით ფლანგავდა სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებს!

თუ როგორ ზრუნავდა ხალხსა და მეცნიერებაზე თბილისის მერი, როგორ მომეპყრა მე, „ჩარეცხილ“ დოქტორს, ერთ შემთხვევას გამეორებით მოვყვები, რომელიც შარშან გამოსულ ჩემს წიგნში („სალაღობო და ნაღვლიანი ამბები“) დავბეჭდე (გვ. 217-218):

კომპიუტერი

ვინც ჩემს ნაშრომებს იცნობს, იცის: ჩემს წიგნებს ძველ და ნათხოვარ კომპიუტერზე მე თვითონ ვაწყობ და ვაკაბადონებ. ამ ტექნიკური საქმისთვის, როცა უამრავი რამ გამოსაკვლევი და დასაწერი მაქვს, თავი მენანება, მაგრამ უსახსრობის გამო იძულებული ვარ, ეს უინტერესო და, ამდენად, მეცნიერისათვის გამომფიტავი საქმე თვითონ შევასრულო. თანაც ამ საქმეზე ბევრი ნერვიულობაც შემხვდა. სიძველის გამო ეს ნათხოვარი კომპიუტერი რამდენიმეჯერ გამიფუჭდა. ხელოსნის ფული არა მაქვს, მაგრამ ფულს ვინლა ჩივის — გული მისკდება, ტექსტი არ წამეშალოს-მეთქი.

ტელევიზიით ვხედავდი, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, თბილისის მერი და განათლებისა და მეცნიერების მინისტრი პერსონალურ კომპიუტერს საჩუქრად ვის არ აძლევდნენ, — გარდა მოსწავლეებისა, ინვალიდ ბავშვებსაც კი. გავბრიყვდი და თბილისის მერ გიგი უგულავას განცხადებით მივმართე: „ვარ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ყოფილი წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. ვიკვლევდი და ვიკვლევ ქართული მწერლობისა და, განსაკუთრებით, რუსთველოლოგიურ საკითხებს. გამოცემული მაქვს საკმაოდ სქელტანიანი 5 წიგნი, გამოსაცემი დამრჩა 7 წიგნი. ვარ მარტოხელა, 108-ლარიანი აკადემიური სტიპენდიატი. ანდერძი მაქვს დაწერილი, ჩემი გარდაცვალების შემდეგ ჩემი ბინა გაყიდონ და დარჩენილი წიგნები გამომიქვეყნონ. ამისთვის აღნიშნულ ნაშრომებს გამოსაცემად ვამზადებ, — ჩემი ხელით შემაქვს კომპიუტერში. აქამდე ვიყენებდი ძველ და ნათხოვარ „პენტიუმ-1“ კომპიუტერს, რომელიც ახლახან გამიფუჭდა. მეხარბება, როცა თქვენ მოსწავლეებსა და ბევრ სხვას კომპიუტერებს სჩუქნით. მათხოვრობა ყოველთვის მეჯავრებოდა, მაგრამ ახლა იძულებული ვარ, გთხოვოთ, აღნიშნული საქმეების მოსაგვარებლად ერთი კომპიუტერი, თუნდაც ნახმარი, ოღონდ გამოსადეგი, მეც მიბოძოთ“.

თითქმის ორი თვის შემდეგ არაერთი ძნელზე ძნელი სატელეფონო შეხსენების შედეგად მივიღე „რკინის“ ლოგიკით შედგენილი პასუხი — უარი, რომელსაც ხელს აწერს მერიის ერთ-ერთი მოხელე: „ბატონო ბორის, განვიხილეთ თქვენი განცხადება (№ 12/34227-1). გაცნობებთ, რომ ბიუჯეტი არ ითვალისწინებს კერძო პირებისათვის კომპიუტერის შეძენას. მისი გადაცემა ხდება ჯილდოს სახით — რომელიმე კონკურსში ან სხვა სახის ღონისძიებაში გამარჯვების შემთხვევაში“ (14. 05. 10).

სულ მალე საზოგადოებას დიდი ზარზეიმით ეუწყა, რომ 2011 წლის პირველი სექტემბრიდან ამდენი და ამდენი ათასი კომპიუტერი დაურიგდა საქართველოს საჯარო სკოლების ყველა პირველკლასელსა და კლასის დამრიგებელს!

დასასრულ დავძენ: უკვე გამოვეცი ცხრა სქელტანიანი წიგნი, მათგან ექვსი — მას შემდეგ, რაც 2006 წელს სამსახურიდან გამაგდეს, ოთხი კი დაწერილი მაქვს.

ბორის დარჩია.

◎ თანამოქიშპე პერსონაჟები

ქოსატყუილა პრეზიდენტი და ჭორიკანა პროკურორი

ბევრი ვიარე თუ ცოტა ვიარე, იმ ერთი ზღაპრისა არ იყოს, ბოლოს და ბოლოს მივადექი უნივერსალური განათლებისა და საარაკო საზრიანობის პიროვნებას, ვინმე ცოტნე ჭკუაშვილს, რომელიც თანაბარი სიძლიერით ფლობს როგორც ფილოსოფიასა და ეკონომიკას, იურისპრუდენციასა და ვარსკვლავთმცოდნეობას, ისე პოლიტოლოგიასა და სოციოლოგიას, და კიდევ სხვა უამრავ პროფესიასა თუ სპეციალობას, რაც ესოდენ ღირებული და დასაფასებელია დღევანდელი მოულოდნელობებითა და ფათერაკებით აღსავსე რეალობაში.

— ბატონო ცოტნე, — ვეუბნები, — ვიდრე შეკითხვებს დაგისვამდეთ, იქნებ საზოგადოებას თავადვე წარუდგეთ?

— რატომაც არა, — ოდნავი მედიდურობით ეღიმება სწავლულს, — გაგეცნობით, მაგრამ ძალიან მოკლედ. დავიბადე და გავიზარდე საგურამოში, სკოლის შემდეგ წარჩინებით დავამთავრე მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტი, სხვადასხვა დროს, სამეცნიერო დარგების მიხედვით, სპეცკურსები მოვისმინე ოქსფორდის, კოლუმბიის, მასაჩუსეტის (ყველას ვერ ჩამოთვლი) უნივერსიტეტებში, სადაც ზედმიწევნით დავეუფლე სადღეისოდ საჭირო ყველა მნიშვნელოვან პროფესიას.

— თუ საიდუმლო არ არის, ამჟამად სად მოღვაწეობთ?

— სად აღარ, ბატონო ჩემო. გარდა იმისა, რომ ჩემი უთვალავი პროფესიის პროფილით ლექციებს ვკითხულობ ჩვენი დედაქალაქისა და პერიფერიების ცნობილ უნივერსიტეტებში, ამასთან, აქტიურად ვთანამშრომლობ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სამეფო და დარგობრივ აკადემიებთან, რომელთაგან უმეტესობამ აკადემიის ნამდვილ წევრად, ხოლო ზოგმა საპატიო წევრად ამირჩია. ალბათ კვეხნაში არ ჩამეთვლება თუ ვიტყვი, რომ ამ ყველაფერთან ერთად, ჩემი კოლეგებისგან განსხვავებით, ვარ ფართო პროფილის მოაზროვნეც.

— ბატონო ცოტნე, ჩვენი პრეზიდენტისა არ იყოს, თქვენ უცხოეთში ისეთი საარაკო განათლება მიგიღიათ, რომ თქვენი ერუდიციისა და ინტელექტიდან გამომდინარე, სულაც არ გამიკვირდება, ერთი ძველი ფილოსოფოსივით (სოკრატეზე გეუბნებით), მოიწონოთ თავი — მე ის ვიცი, რომ არაფერიც არ ვიცი. თუმცა სააკაშვილი ამჯერადაც, როგორც ყოველთვის, პაპაჯორობს და თავს ყველაფრისა და ყოვლისმცოდნეობით იწონებს.

— სწორადაც იქცევა. აბა როგორ, პრეზიდენტს თუ თავმდაბლობის ჭია შეუძვრა და ხალხმრავალ აქციებსა და შეკრებებზე ერთთავად ის იძახა, უცხოეთში სწავლა-განათლებით თავი იმიტომ გავისიე, რომ მუტრუკი და რეგვენი დავრჩენილიყავიო, ასეთ თავკაცს ვინ რას დაუჯერებს?

— აბა კაცო, იმდენს უჯერებენ, პირდაპირ გადაჯერებულნი არიან. ვერა ნახეთ, იმდენი იტრაბახა და იქაქანა — მაგარი ვარო, რომ არჩევნებიდან ნიფხავჩამძვრალი გამოვარდა.

— არა უშავს, არჩევნები იმიტომ ჰქვია, რომ კაცი, მათ შორის პრეზიდენტიც, მას ხან მოიგებს და ხან წააგებს. აქ კი წააგო, მაგრამ აბა ნახეთ, სამაგიეროდ უცხოეთში ტრაბახითა და თითლიბაზაობით როგორი რეიტინგი დაიადა. ასე რომ, სააკაშვილის მათ სოკრატესთან შედარება არ გამოდგება, ფილოსოფოსმა თავი თავმდაბლობით უნდა მოიწონოს (დიოგენე მეფეს კასრში შემძვრალი ეპაექრებოდა). პრეზიდენტმა — ქედმაღლობითა და ტრაბახით.

— ისეთ შემთხვევაში, როცა პრეზიდენტი ტრაბახით ქვეყანას იკლებს, საქმიანმა პროკურორმა რა უნდა ქნას, თავი ჭორიკანობით უნდა შეიქციოს?

— ეგ საიდან მოიგონეთ? — შეიცხადა მოაზროვნემ.

— მე რა მოვიგონე, ბატონო ცოტნე, გუშინ არ უსმინეთ, რა თქვა სააკაშვილმა , პროკურორი კბილაშვილი თურმე მთელი დღე ჩემზე ჭორაობის მეტს არაფერს აკეთებს და თავის ჭკუით თურმე დაჭერას მიპირებსო.

— სიმართლე უთქვამს, რას ერჩი ჭორაობა რა პროკურორის საქმეა. ეგ თუ მაგარი ბიჭია, სააკაშვილი ჯერ დაიჭიროს და მერე რამდენიც გაუხარდება იმდენი იჭორაოს.

— დაიჭიროს კარგია, პროკურორი პრეზიდენტს როგორ დაიჭერს, ბატონო მოაზროვნევ, როცა კოჰაბიტაციისა თუ ევროპარლამენტის ხათრით ჯერ ქალაქის მერიც ვერ დაუჭერია.

— უგულავაზე მეუბნებით? მაგას თუ მართლა დანაშაული მიუძღვის, პროკურორი ცხენში თუ ვერ დაიჭერს, ფული მაინც უნდა დააყრევინოს.

— არა მაქვსო, იძახის (ხალხს ცარიელ ხელებს აჩვენებს), ჩემ სიცოცხლეში ქრთამი არ ამიღია და მილიონი საიდან მოვიტანოო(!).

— ჩემი აზრით, მაგ საქმეში პროკურორი ტყუის, როცა იცის რა თაღლითი პაციენტებიცა ჰყავს, ფული ჯიბეში ბრალდების წაყენებამდე უნდა დაუთვალოს.

— წინა ხელისუფლება აბა როგორ აყრევინებდა გაბაწრულ ბიზნესმენებს მილიონებს?

— სწორედ ამ მეთოდის გამოყენებით, ჩემო კარგო. ადეიშვილი ისე არავის ამოიღებდა მიზანში, თუ წინასწარ ჯიბეში ხელს არ ჩაუყოფდა.

— რადგან სიკეთე ქენით და ამდენი გაუგებრობა გაფანტეთ, იქნებ ის საიდუმლოც აგვიხსნათ, ბატონო ცოტნე, პრეზიდენტი ამდენ ტყუილს რომ ლაპარაკობს, რა სარგებელს ნახულობს? განა არ ურჩევნია, ზოგჯერ სიმართლეც გამოურიოს?

— არ ურჩევნია და იცით რატომ? მაშინ ხალხი დაიბნევა, ტყუილ-მართალს ერთმანეთისგან ვეღარ გაარჩევს და ქვეყანა აირევა. ახლა იციან, რომ პრეზიდენტი გარანტირებულად იტყუება გულმშვიდად არიან.

— აი, ამ ორი დღის წინათაც, გახსოვთ, სააკაშვილმა რამხელა ტყუილი დაახეთქა? ხალხს რომ დაეჯერებინა, რუსეთმა ჩვენი ბანკები მართლაც შეისყიდაო, წარმოგიდგენიათ, იმ ბანკებში მეორე დილას რა ორომოტრიალი ატყდებოდა? ბანკებს ვინ ჩივის, ქვეყნის მთელი ეკონომიკა ყირამალა დადგებოდა.

— ეგ მაგალითი სწორედ იმის დასტურია, რასაც მე ვლაპარაკობ. იცოდა ხალხმა, რომ პრეზიდენტი, როგორც წესი, იტყუებოდა და ყურიც არ შეიბერტყა. თავად პრეზიდენტიც, როგორც სჩვევია ხოლმე, იოლად გამოძვრა: ის, რაც გუშინ გითხარით, გადავამოწმე და ჩემდა გასახარად, არასწორი აღმოჩნდაო — უსირცხვილოდ გაიღრიჭა სააკაშვილმა, მერე თვითმფრინავის ტრაპი ბაჯბაჯა სიმკვირცხლით აირბინა და აზერბაიჯანში მოკურცხლა.

მინდოდა ჩვენი ცბიერი ცხოვრების მდინარებიდან რამდენიმე კითხვა კიდევ დამესვა მოაზროვნისთვის, მაგრამ დროის დეფიციტი მოიმიზეზა და აჩქარდა — სტუდენტები მელოდებიან სალექციოდ და ვერ დავაღალატებო. ჩვენი მკითხველებისთვისაც დამიგდო სიტყვა: არ მოიწყინონ და როცა კი მოისურვებენ, ქორფა-ქორფა დასკვნებსა და ქოჩორა აზრებს არ მოვაკლებო. ჰოდა, მოვიცადოთ, მით უფრო, რომ კოჰაბიტაცია, როგორც ვატყობ, საქართველოდან გაქცევას არსად აპირებს.

ოტია ჩართოლანი

◎ ინფორმაცია

ზუგდიდში ხორცის გამყიდველები გაიფიცნენ

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, მოვაჭრეები აცხადებენ, რომ საქონლის დაკვლა სასაკლაოში მოსთხოვეს, რაც ხარჯებს ზრდის. ამასთან, მათი თქმით, ერთი კილოგრამი ხორცის ექსპერტიზისთვის 40 თეთრი მოსთხოვეს.

— საქონლის სასაკლაომდე ტრანსპორტირება და დაკვლის წინა ექსპერტიზა ხარჯებს საგრძნობლად გაზრდის. შესაბამისად, ბაზარზე ხორცი გაძვირდება და რეალიზაცია გაგვიჭირდება, — აცხადებენ გაფიცულები. ამასთან, შპს „სუპერმარკეტის„ ვეტექიმი ლია ჯღამაძე აცხადებს, რომ კანონის მიხედვით, საქონელი სასაკლაოზე უნდა დაიკლას, თუმცა მანამდე ექსპერტიზა უნდა ჩაუტარდეს. მისივე განმარტებით, მიუხედავად კანონის მოთხოვნისა, წლების განმავლობაში საქონელი სასაკლაოზე არ იკვლებოდა, თუმცა ბაზარში დაავადებული ხორცის შემოტანის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

მისივე განმარტებით, შპს „სუპერმარკეტის“ ლაბორატორიაში მსხვილფეხა საქონლის დაკვლასთან დაკავშირებით ექსპერტიზა 8 ლარი ღირს, ღორის ხორცის ექსპერტიზა კი — 5 ლარი.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ცურვა

2 ბრინჯაო გერმანიიდან

საქართველოს მოცურავეთა ნაკრების წევრები ირაკლი რევიშვილი, ირაკლი ბოლქვაძე, დავით სიხარულიძე და თემურ კობახიძე ბერლინში საერთაშორისო ტურნირზე გამოვიდნენ, რომელშიც ევროპის 27 ქვეყნის 1500-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. ქართულმა დელეგაციამ 2 ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეძლო.

გერმანიაში ყველაზე უკეთ თემურ კობახიძე გამოიყურებოდა, ვინც 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში დისტანცია 56.99 წამში დაფარა და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. კობახიძემ იგივე დისციპლინაში, ოღონდ 50 მეტრზე მეოთხე ადგილი დაიკავა, თუმცა საქართველოს ახალი რეკორდი მაინც დაამყარა – ფინიშთან 25.45 წამში მიცურა.

ქართულ დელეგაციას კიდევ ერთი ბრინჯაოს მედალი ევროპის 2012 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა და ლონდონის ოლიმპიადის მონაწილე ირაკლი ბოლქვაძემ მოუტანა, რომელმაც 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში დისტანცია 2.10.55 წუთში დაფარა და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ჭადრაკი

დაკარგული ქულები და დარჩენილი შანსი

ასტანაში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატში მედლებისთვის 10 გუნდი იბრძვის წრიული სისტემით. ამდენად, ცხრა ტური უნდა გათამაშდეს. მოასპარეზეებმა უკვე ოთხი ტური მოილიეს. სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრები ტურიდან ტურამდე ანიავებს ქულებს, არადა, ჩინეთის გარდა, ჯერ ფავორიტებს არ შეხვედრია. მე-4 ტურში ჩვენები ინდოელებს დაუპირისპირდნენ. შეგახსენებთ, რომ აზიელები, ფაქტობრივად, მეორე შემადგენლობით ჩავიდნენ ყაზახეთის დედაქალაქში, რადგან ნაკრებში არ არიან მსოფლიო რეიტინგით მე-3 ადგილზე მყოფი ჰამფი კონერუ, მე-14 ნომერი ჰარიკა დრონავალი და მაღალი რეიტინგის მქონე ტანია საჩდევი. ამჟამინდელი გუნდის ლიდერი ეიშა კარავადე მსოფლიო ასეულში მხოლოდ 71-ეა. ამის მიუხედავად, ნანა ძაგნიძისთვის ერთობ კერკეტი კაკალი გამოდგა, არადა, ჩვენებური მას 167 პუნქტით უსწრებს. ოსტატობაში საგრძნობი უპირატესობის მიუხედავად, თეთრებით მოთამაშე კარავადემ ჩვენებურს 35-ე სვლაზე მოუგო. მე-2 დაფაზე ბელა ხოტენაშვილმა 36-ე სვლაზე რუთ რადმინი დაამარცხა და წონასწორობა აღადგინა. ლელა ჯავახიშვილი შავებით მერი გომესს 74-ე სვლაზე დაუზავდა. მატჩის საბოლოო შედეგი ნინო ხურციძისა და სვამინათან სუომიას ორთაბრძოლაზე იყო დამოკიდებული. ქართველ დიდოსტატს წარმატების რეალური შანსი მიეცა – 37-ე სვლაზე მეტოქემ უხეში შეცდომა დაუშვა და ხურციძეს ინდოელი ორ სვლაში უნდა დაეშამათებინა, მაგრამ სვლა ვერ დაინახა და პაექრობაც ყაიმით დასრულდა 2:2. განვლილ ოთხ ტურში ეს უკვე მერამდენე ქულა გაანიავეს ჩვენი გუნდის წევრებმა. თუმცა, დარჩენილ ხუთ ტურში მობილიზებას თუ შეძლებენ, საპრიზო ადგილებზე გასვლა სათუო არ უნდა გახდეს, რადგან მეწინავეებთან მხოლოდ 2 ქულა

გვაშორებს, თან, როგორც აღვნიშნეთ, ორ ფავორიტთან (რუსეთი, უკრაინა) შეხვედრა წინ გვაქვს..

მეოთხე ტურის დანარჩენი შეხვედრები: **აშშ – საფრანგეთი 2:2** (ანა ზატონსკიხი – სოფი მილე 0,5:0,5, ნინო მაისურაძე – ირინა კრუში 0:1, თათევ აბრაჰამიანი – ანდა შაფრანსკა 0,5:0,5, სილვია კოლასი – საბინა ფოიშორი 1:0), **რუსეთი – ჩინეთი 2:2** (ვალენტინა გუნინა – ცზიუ ვენძიუნი 1:0, ჰუან ძიანი – ალექსანდრა კოსტენიუკი 0:1, ნატალია პოგონინა – თან ჟონი 0:1, გუო ძი – ალისა გალიამოვა 1:0). **უკრაინა – თურქეთი 2,5:1,5** (ანა უშენინა – ბეთულ ილდიზი 1:0, კუბრა ოზთურქი – მარია მუზიჩუკი 0,5:0,5, ნატალია ჟუკოვა – კარდელენ კემხანი 0,5:0,5, სელენ სოპი – ინა იანოვსკა-გაპონენკო 0,5:0,5), **რუმინეთი – ყაზახეთი 2:2** (ადელა კრისტინა ფოიშორი – გულისკან ნახბაიევა 0:1, გულმირა დაულეტოვა – ირინა ბულმაგა 0:1, ელენა კოსმა – დინარა სადუაკასოვა 0,5:0,5, ჟუნსაია აბდუმალიკი – კარმენ ვოიცუ-იაგოძინსკი 0,5:0,5).

ოთხი ტურის შემდეგ: რუსეთი (12,5), ჩინეთი (12), უკრაინა (10) – 7-7, საქართველო (9,5) – 5, ინდოეთი (7,5), აშშ (7) – 4-4, რუმინეთი (6,5) – 3, ყაზახეთი (6,5) – 2, საფრანგეთი (4,5) – 1, თურქეთი (4) – 0 ქულა.

ლექსო ცინცაძე

◎ თაობა

სწავლის ძირი მწარე არის...

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა, რომელიც გერმანიაში ევრო 2013-ის ელიტ-რაუნდისთვის ემზადება, იქაურ თანატოლებთან ამხანაგური შეხვედრა გამართა. გიორგი დევდარიანის გუნდი 1:4 დამარცხდა. თამაშს ქალაქმა რედა ვიდენბრუკმა უმასპინძლა.

ქართველი 17-წლამდელები გუშინ ჰოლანდიაში გაემგზავრნენ, სადაც დღეს არნემის „ვიტესის“ ერთ-ერთ ასაკობრივ გუნდს დაუპირისპირდებიან. გერმანიის ნაკრებთან მატჩს „ვიტესის“ პრეზიდენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი ხელმძღვანელი მერაბ ჟორდანიაც დაესწრო.

* * *

რედა ვიდენბრუკი, „ტიონის არენა“. 3916 მაყურებელი.

გერმანია 4:1 საქართველო

გოლები: 1:0 ტიმო ვერნერი (10, პენ), 2:0 ტიმო ვერნერი (33), 2:1 ლუკა ზარანდია (45), 3:1 პატრიკ პფლიუკე (58), 4:1 ჯანლუკა ვალდშმიდტი (80).

77-ე წუთზე ჯანლუკა ვალდშმიდტმა პენალტი ვერ გაიტანა (ააცილა).

საქართველო: ოთო გოშაძე, აკაკი შულაია, გაგი მარგველაშვილი, ჯემალ ტაბიძე, გიორგი თევზაძე, ომარ პატარკაციშვილი, თენგიზ გოროზია, გიორგი ხარაიშვილი, ილია კერძევაძე (კაპ), ლუკა ზარანდია, რომან ჭანტურია.

შეცვლაზე შევიდნენ: გიორგი ბერიძე, ილია რუხაძე.

მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი.

მსაჯი: დასტინ სიკორსკი (გერმანია).

მანუჩარ გიორგაძე

◎ სამთო თხილამურები

მე-5 ეტაპს მესტია უმასპინძლებს

საქართველოს სათხილამურო სპორტის ფედერაციისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით გრძელდება საქართველოს თასის გათამაშების ეტაპები სამთო-სათხილამურო სპორტში. მეორე, მესამე და მეოთხე ეტაპების შემდეგ, რომელიც ბაკურიანში ჩატარდა, მეხუთე ეტაპი სტარტს ხვალ, მესტიაში, ჰაწვალის ფერდობზე აიღებს. ჰაწვალი საქართველოს თასის გათამაშების ეტაპებს მესამე წელია რაც მასპინძლობს. აღსანიშნავია, რომ ფერდობის დახრილობა და რელიეფი იდეალურია სამთო-სათხილამურო სპორტის ყველა დისციპლინისთვის.

9 და 10 მარტს მესტიაში საკომუნიკაციო კომპანია „სილქნეტის“ გენერალური სპონსორობით ორი დღის მანძილზე შეჯიბრებები სპეციალურ და გიგანტურ სლალომში ჩატარდება. დამდეგ ტურნირზე ფედერაცია და სპორტსმენები უკვე ტრადიციულად ელიან სვანეთის მოსახლეობას, როგორც სამთო-სათხილამურო სპორტის გამორჩეულ გულშემატკივრებს. საქართველოს თასი სამთო-სათხილამურო სპორტში ვაჟებისათვის და გოგონებისთვის შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებში გათამაშდება:

– ბავშვები I, დაბადების წელი 1999-2000

– ბავშვები II, დაბადების წელი 1997-1998

– მოზრდილები და იუნიორები, დაბადების წელი 1996 და უფროსი.

მესტიაში მე-5 ეტაპზე გამარჯვებული სპორტსმენები ტრადიციულად უშბის ფონზე დაჯილდოვდებიან. ეროვნული თასის გათამაშების ეტაპები გადამწყვეტ ფაზაში შედის, სპორტსმენების მიერ დაგროვებული ქულებით სეზონის ბოლოს საქართველოში მოქმედი საუკეთესო სპორტული ჯგუფი გამოვლინდება.

ქვეყნის თასის გათამაშება ზამთრის სეზონის მანძილზე ბაკურიანში, მესტიასა და გუდაურში შვიდ ეტაპად ტარდება. ეტაპებზე საქართველოს ეროვნული ნაკრების სპორტსმენთა გარდა მონაწილეობას საქართველოში არსებული სპორტსკოლების მოსწავლეებიც იღებენ. წლის საუკეთესო მოთხილამურეებს უჩნდებათ შესაძლებლობა საქართველოს ნაკრების ღირსება დაიცვან.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

ზლატანის ნიშა

ის, რომ „პარი სენ-ჟერმენი“ იბრაჰიმოვიჩიანად და მის გარეშე ორი სხვადასხვა გუნდია, ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მერვედფინალურმა მატჩმა დაადასტურა.

„პარი სენ-ჟერმენი“ – „ვალენსია“ 1:1.

(პირველი მატჩი – 2:1)

გოლები: ლავეცი; ჟონასი.

შეგახსენებთ, რომ პირველ შეხვედრაში შვედი მინდვრიდან გააძევეს, რის გამოც საპასუხო ბრძოლაში თავის პარტნიორთა ბღლარძუნს თვალი „სტად დე ფრანსის“ ვიპ-ლოჟიდან ადევნა.

სავარაუდო იყო, რომ მეტისმეტად ფრთხილი მასპინძელთა თავკაცი კარლო ანჩელოტი სტუმრად მოპოვებული მინიმალური უპირატესობის შენარჩუნებას ანტიფეხბურთით შეეცდებოდა. ასეც მოხდა – დისკვალიფიცირებული ლიდერის გარეშე დარჩენილმა იტალიელმა მწვრთნელმა გამეიროც სათადარიგოთა სკამზე დატოვა და შეტევაში მხოლოდ ლავეცი გაამწესა.

მისი ბედი, რომ „ვალენსია“ ის აღარაა, რომელიც ახლო წარსულში შიშის ზარს სცემდა მეტოქეებს და ზედიზედ ორჯერ ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც ითამაშა.

მოკლედ, ფრანგულმა კლუბმა, ავად თუ კარგად, ორრაუნდიანი დუელი თავის სასარგებლოდ დასრულა და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც ზლატანი დაუბრუნდება. მერე კი, ვინ იცის, იქნებ ეს არწივი უფრო მაღლაც აფრინდეს.

„იუვენტუსი“ – „სელტიკი“ 2:0

(პირველი მატჩი – 3:0)

გოლები: მატრი, კვალიარელა.

გიორგი ზოთაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის
განცხადება

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია თავისი წესდების მე-10 თავის შესაბამისად აცხადებს კონკურსს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად, შემდეგ ვაკანტურ სპეციალობებში:

სპეციალობა	ვაკანსიათა რაოდენობა
აგრონიადაგმცოდნეობა, აგროეკოლოგია	1
მიწათმოქმედება	1
მეხილეობა	1
სელექცია-მეთესლეობა	1
სოფლის მეურნეობის ეკონომიკა	1
ზოოტექნია	1
ვეტერინარია	1
სასმელების ტექნოლოგია (ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო)	1

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს მოქალაქე მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე მეცნიერი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, რომელმაც საერთაშორისო მნიშვნელობის წვლილი შეიტანა მეცნიერების განვითარებაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების კანდიდატის წამოყენების უფლება აქვთ: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს (წევრებს), სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სამეცნიერო საზოგადოებებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების კანდიდატთა შესახებ აუცილებელია შემდეგი საბუთების წარმოდგენა (ორ ცალად) სამეცნიერო ან აკადემიურ საბჭოს, აკადემიის წევრის (წევრების) წარდგენა სათანადო დასაბუთებით. კანდიდატის ავტობიოგრაფია, სამეცნიერო ხარისხისა და წოდებების დამადასტურებელი მოწმობები (ნოტარიულად დამოწმებული ასლები), მონაცემები შრომითი და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ (CV), სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება და ფოტოსურათი (4X6).

აღნიშნული განცხადება განთავსებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნეირებათა აკადემიის ვებ-გვერდზე www.academy-as-georgia.dsl.ge

საბუთები რეგისტრაციისა და არჩევნებში მონაწილეობისთვის იგზავნება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში. დოკუმენტაციის მიღება ხდება ზემოაღნიშნული განცხადების პრესაში გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102 ი. ჯავახიშვილის ქ. №51, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (ტელეფონები: 2 94-13-20. 2 94-13-21. 2 96-03-00) საბუთების მიღება იწარმოებს ყოველი სამუშაო დღის 10 საათიდან 18 საათამდე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

ბონდო ჯიქია, ოთარ ჭითანავა, გივი სოსელია, დავით კუხალეიშვილი, ჯამბულ წულაია, ლერი ჭითანავა, ედვარდ სურმანიძე, დიმა ჯაიანი, ვაჟა ფიფია, ნუგზარ იზორია, ზურაბ გეგეჭკორი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჭეშმარიტი ვაჟკაცობითა და ზნეობრივი სიწმინდით გამორჩეული ქართველი

გურიელ ბერულავა

და თანაუგრძნობენ გია, გოგი ბერულავებს ძვირფასი მამის მარადიულ სასუფეველში გადასვლის გამო.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ვახტანგ თევზაძე

და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

ჯუმბერ, გოგა ლომინაძეები, გია მახარაშვილი, ზაზა აბაშიძე, ნუნუ, მარინა შაქარაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ირინა ლეონიდეს ასული კალანდაძე

პანაშვიდი 7, 8 III, 16 სთ. დაკრძალვა 9 III, 14 სთ. მის. წინამძღვრიშვილის ქ. 77.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

◎ ინფორმაცია

თურქეთის მოქალაქეს ყალბი ფული ჩამოერთვა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ყალბი ფულის შენახვის ფაქტზე, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეები აბუბექირ ფილგიჩი და ოზქან ოზთურქი დააკავეს.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნულმა პირებმა ყალბი ფულის გასაღების მიზნით, თურქეთის რესპუბლიკიდან სარფის სასაზღვრო კონტროლის ზონის გავლით, საქართველოს ტერიტორიაზე შემოიტანეს ყალბი 2 000 თურქული ლირა და 2 500 აშშ დოლარი.

მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212 - ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით.

ინტერპრესი

◎ წიგნი

„ეს მე ვარ“

ასეთი სათაური აქვს ახლახან გამოსულ წიგნს, რომელიც გვაცნობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატის, ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის, საქართველოს დამსახურებული მშენებლის, ღირსების ორდენოსნის, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის წევრის, საქართველოს პარლამენტის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს მშენებელთა ფედერაციის აღმასრულებელი მდივნის, საქართველოს არქიტექტორისა და მშენებელთა საეფციკლოპედიო ფონდის ვიცე-პრეზიდენტისა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ შტატგარეშე კორესპონდენტის **რევაზ ტყემალაძის ბიოგრაფიას.**

ჭიათურაში ცნობილი პედაგოგების შვილს სკოლა ოქროს მედლით, ხოლო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი წარჩინებით დაუმთავრებია, საკანდიდატო ხარისხიც დაუცავს მეტად პრაქტიკულ და საინტერესო თემაზე, სადისერტაციო თემის მშენებლობაზე დანერგვისა და სასურველი შედეგების მიღების საფუძველზე ლენინგრადის მოთავე ინსტიტუტის ჯგუფთან ერთად დაუმსახურებია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემია.

წიგნითაც ვეცნობით და ისედაც ცნობილი იყო, რომ რევაზს ღვაწლი მიუძღვის ეკოლოგიურ მიგრანტთა სოციალური მოწყობისა და დევნილთა პატრონობის საკითხების მოწესრიგებაში. დიდი შრომა აქვს გაწეული სომხეთის მიწისძვრის შედეგების საერიკვიდაციო სამუშაოებში, არც მაჰმადიანი მესხების პრობლემებს ჩაუვლია რევაზის გარეშე.

წიგნში შესანიშნავად არის გადმოცემული 82 წელს მიტანებული რევაზ ტყემალაძის დამოკიდებულება ჭიათურელ მეგობრებთან, ინსტიტუტის თანაკურსელებთან, სამსახურის თანამშრომლებთან, რაც დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას.

რევაზი სასარგებლო ჟურნალისტულ საქმიანობას ეწევა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. არის სამი შვილის, რვა შვილიშვილისა და სამი შვილთაშვილის მამა, ბაბუა და დიდი ბაბუა.

ვიხსენებთ შინაარსიანად ჩატარებულ მის 80 წლისთავის იუბილეს და, ვფიქრობთ, არანაკლები აღმავლობით შედგება 85 და შემდეგი აღსანიშნავი თარიღების იუბილეებიც.

ღმერთმა გვისმინოს.

გურამ შატაიძე

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

სს „ელმავალმშენებელი“ 2013 წლის 8 მარტიდან აცხადებს აუქციონს შავი ლითონის ჯართის და ჟანგბადის ბალონების რეალიზაციის შესახებ.

ლოტი №1:

შავი ლითონის ბურბუშელას ჯართი – სავარაუდოდ 30 ტ. – საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 3 210 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში) დ.დ.გ.-ს გარეშე;

ლოტი №2:

დატვიფრვის შედეგად მორჩენილი 0.35 – 0.5 მმ სისქის შავი ლითონის ჯართი – სავარაუდოდ 10 ტ. – საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 1 830 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში) დ.დ.გ.-ს გარეშე;

ლოტი №3:

შავი ლითონის არაგაბარიტული ჯართი – სავარაუდოდ 150 ტ. – საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 29 850 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში) დ.დ.გ.-ს გარეშე;

ლოტი №4:

ჟანგბადის ბალონი 400-20 ГОСТ 9731-79 – 48 ცალი. – საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 28 800 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში) დ.დ.გ.-ს გარეშე;

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად ყველა მსურველმა უნდა გადაიხადოს „ბე“ (ლოტის ღირებულების 10%), რომელიც წაგების შემთხვევაში მონაწილეს დაუბრუნდება უკან.

გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

USD-Account: Intermediary Bank: Citibank N.A., New York, USA; SWIFT: CITIUS33, Account With Institution: Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22; 3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia, Beneficiary: JSC ELMAVALMSHENEBELI, Account: GE59BG0000000298256900.

GEL-Account: სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22, სს „ელმავალმშენებელი“, მიმღების ანგარიშის ნომერი GE59BG0000000298256900.

მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე მოგებული საქონლის საბოლოო გასაყიდი მთლიანი ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და „ბე“ არ დაუბრუნდება.

ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება ყოველდღე უქმე დღეების გარდა, 10-დან 15 საათამდე. (ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის II სართული, ოთახი №216).

აუქციონი გაიმართება 2013 წლის 21 მარტს 15 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის III სართული.

აუქციონში მონაწილეობისათვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ, ლოტის მითითებით, მონაწილეზე სრული ინფორმაციის გათვალისწინებით, მისამართის და საკონტაქტო ტელეფონის მითითებით.
2. „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი.
3. პირადობის მოწმობის ქსერო ასლი.
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვისი სახელით.
5. იურიდიულმა პირებმა დამატებით წარმოადგინონ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა).

ინფორმაცია აუქციონის შესახებ შეიძლება მიიღოთ:

ვებ-გვერდი: www.glmf.ge **ტელ.** 5 77 43 47 42, 593 922802, 5 77 003707

სს „ელმავალმშენებელი“ მუდმივმოქმედი სააუქციონო და საკონკურსო კომისია.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სულიერება

იოანე ნათლისმცემლის თავის პირველად და მეორედ პოვნა

9 მარტს საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესია ზეიმობს წმიდისა დიდებულისა წინამორბედისა და ნათლისმცემლისა იოანეს პატიოსნისა თავის პირველად და მეორედ პოვნას.

...ცნობილია, რომ იოანე ნათლისმცემელი ყოვლადწმინდა მარიამის შემდეგ, ყველაზე პატივდებული წმინდანია. წინასწარმეტყველი იოანე ნათლისმცემელი აარონის მოდგმისა იყო მამის მხრიდან, ხოლო დედის მხრიდან – დავითის მოდგმისა.

მაცხოვრის ნათლობით იოანემ თავისი წინასწარმეტყველური მსახურება დაასრულა...

როგორც გადმოცემა გვაუწყებს, იოანეს წმინდა თავი კეთილმსახურმა იოანემ იპოვა და ჭურჭელში დასვენებული ელეონის (ზეთისხილის) მთაზე დაკრძალა. მოგვიანებით, ერთი კეთილმსახური მოღვაწე, ტაძრის საძირკვლისთვის მიწას თხრიდა და ეს საგანძური იპოვა. ის ამ საგანძურს თავისთან ინახავდა, შემდეგ ისევ იქ დაფლა, სადაც იპოვა.

ცნობილია, რომ თურმე ორი მონაზონი იერუსალიმში მოსალოცად მიდიოდა. ერთ-ერთ მათგანს იოანე ნათლისმცემელი გამოეცხადა და იმ ადგილზე მიუთითა, სადაც მისი თავი იყო დაფლული. ამ დროიდან მოყოლებული, ქრისტიანები იოანეს წმინდა თავის აღმოყვანებას ზეიმობენ.

გიული ლიპარტია

◎ დაიჯესტი

ლონდონის შარიათული პატრულები

თანამედროვე ინგლისური საზოგადოების ტოლერანტობამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ლონდონში მუსლიმანური „კეთილშესაღერობის პატრულები“ გაჩნდა, რომლის წევრები ხალხს ეუბნებიან: „ეს დიდი ბრიტანეთი არ გეგონოთ! ეს მუსლიმანური ტერიტორიაა!“

ახალგაზრდების რამდენიმე ჯგუფი ბრიტანეთის დედაქალაქის აღმოსავლეთ ნაწილის რამდენიმე რაიონში ღამღამობით დადის და გამვლელთაგან შარიათის მოთხოვნათა შესაფერისად მოქცევას ითხოვს. ამასთან, ყველაფერს, რაც ხდება, ვიდეოზე იღებენ და ინტერნეტში აქვეყნებენ.

ერთ-ერთ ასეთ რგოლზე აღბეჭდილია, თუ როგორ ართმევს „პატრული“ ლუდის ბოთლს მამაკაცს, რომელსაც ვერაფრით გაუგია, თუ რა ხდება. მას ეუბნებიან, რომ უბანში მეჩეთი მდებარეობს და ამიტომ იქ ალკოჰოლის სმა არ შეიძლება. არავინ იცის, გამვლელს „პატრულის“ რიცხოვნობის შეეშინდა თუ არაპოლიტკორექტულობის გამოვლენას მოერიდა, მაგრამ სანუკვარი ბოთლი ულაპარაკოდ დათმო. „შარიათის დარაჯები“ ავტობუსების გაჩერებებზე ქალის ქვედა საცვლების რეკლამებს ღებავენ, მერე პრეტენზიებით ორ ქალიშვილს ადგებიან, რომელთა ქვედაბოლოები, „პატრულის“ აზრით, ზედმეტად მოკლეა. მათ, უბრალოდ, ქუჩიდან აგდებენ. ერთ-ერთი ქალიშვილის შეკამათებაზე, აქაოდა ეს დიდი ბრიტანეთია და როგორც მინდა, ისე ჩაცმული ვივლიო, ისლამური წესრიგის ერთ-ერთი მომხრე პასუხობს: „ეს დიდი ბრიტანეთი არ არის, ეს მუსლიმანური ტერიტორიაა!“ ქალიშვილების ბედს მალე ქალ-ვაჟის წყვილი იზიარებს, რადგან ქალიშვილის კაბის სიგრძე „პატრულს“ ასევე არ მოსწონს. ახალგაზრდა მამაკაცი „პატრულს“ წინაალმდეგობასაც ვერ უწევს, უბრალოდ ქალიშვილს ეფარება. მათ მუჯლუგუნებით აგდებენ და უყვირიან: „წაეთრიეთ და აქ აღარ დაგინახოთ!“

ამ ექსცესებზე ხელისუფალთ არანაირი რეაქცია არ აქვთ. პოლიცია იმას უჩივის, რომ „პატრული“ ღამღამობით გამოდის ხოლმე, როცა სათვალთვალო კამერებით პირთა ვინაობის დადგენა ჭირს.

სულ რაღაც ოცი წლის წინათ ლონდონში მსგავსი რამის წარმოდგენაც შეუძლებელი იყო. ახლა კი თავის დროზე მთელ მსოფლიოში მეგობრული სულისკვეთებით განთქმული ერი უკან იხევს ვიდეოკამერით აღჭურვილი რამდენიმე ათეული მოზარდის წინაშე, რომლებიც მათ უფლებებსაც ლახავენ და საკუთარი დაუსჯელობითაც ტკბებიან.

ვალი, რომლის მსგავსი მსოფლიოში არავის ჰქონია

საფრანგეთის ქალაქ პესაკის უმუშევარ ქალბატონს... 11 კვადრილიონ 721 მილიარდ ევროს ანგარიში მოუვიდა... სატელეფონო მომსახურებაში!

ეს ამბავი მას შემდეგ მოხდა, რაც ქალბატონმა სოლენ სან-ხოსემ „ეკონომიის გაწევის მიზნით“ მობილური კავშირის ოპერატორი კომპანიის „ბუიგ ტელეკომის“ მომსახურებაზე უარის თქმა გადაწყვიტა. კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტა კომპენსაციის გადახდას მოითხოვს, მაგრამ საბრალო ქალს ვერც წარმოედგინა, რომ მას საფრანგეთის მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებაზე ექვსჯერ უფრო მეტი კომპენსაციის გადახდას დააკისრებენ!

მოვალემ კლიენტების მხარდაჭერის სამსახურს მიმართა, სადაც მას თავდაპირველად... დაკისებული თანხის განვადებით გადახდა შესთავაზეს! მოხელეებმა ის გარემოებაც არაფრად ჩათვალეს, რომ ამ ასტრონომიული თანხის გადასახდელად, საფრანგეთში ყოველთვიური საშუალო ხელფასის პირობებში... 500 მილიარდი წელი დასჭირდებოდა.

მხოლოდ რამდენიმე კვირის მანძილზე საქმის გარჩევის შემდეგ ოპერატორი იძულებული იყო შეცდომა ეღიარებინა და ქალბატონ სან-ხოსეს... 117 ევროს ანგარიში გაუგზავნა.

◎ ანეკდოტები

თავიდან ღმერთმა დედამიწა შექმნა და შეისვენა...
მერე მამაკაცი შექმნა და ისევ შეისვენა...
მერე შექმნა ქალი და, მას შემდეგ, არც მას აქვს მოსვენება და არც მამაკაცს!

* * *

ცოლი ეუბნება მეუღლეს:
– ძვირფასო, 5 წუთით მეზობელთან ჩავალ და ჩახოხბილს ყოველ 15 წუთში მოურიე!

* * *

ჩემი ცოლი მობილური ტელეფონივითაა, – ეუბნება ერთი მეგობარი მეორეს, – როცა ანგარიშზე ფული არ მაქვს, ის დროებით მიუწვდომელია...

* * *

ლამაზი ქალი – ეს სამოთხეა თვალისთვის, ჯოჯოხეთია გონებისთვის და გამსუფთავებელია ჯიბეებისთვის.

* * *

გოგონა მკითხავთან მივიდა:
– ორ ბიჭს ვუყვარვარ, მითხარი, რომელ მათგანს გაუმართლებს ცხოვრებაში?
– გაუმართლებს ტარიელს. ცოლად შეგირთავს დათო.

* * *

ძმარი სამსახურში წასასვლელად ემზადება და ცოლს ეკითხება:
– პიჯაკი გამისუფთავე?
– კი, საყვარელო!
– შარვალი?
– ეგეც.
– ფეხსაცმელები?
– უი, შენს ფეხსაცმელებს ჯიბეები აქვს?!

* * *

ძუჩაში ახალგაზრდა ქალს მთვრალი მამაკაცი წამოეწია.
– გოგონა, სად იშოვეთ ასეთი მშვენიერი ფეხები?
ქალი მოუბრუნდება და პასუხობს:
– საჩუქრების მაღაზიაში!
– და სახე ხურდაში დაგიბრუნეს?

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაქცინაციისა ვახსენებთანად

პატიმრებს ლორის გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრიან?

მსჯავრდებულთა და მათი ოჯახის წევრებისთვის სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ დაავადებათა ეროვნულ ცენტრთან ერთად „ეიჩ-1 ენ-1“ ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებელი რეკომენდაციები შეიმუშავა. რეკომენდაციებმა ცოტა დააგვიანეს, რადგან გრიპის სეზონის მიწურულს უზრუნველყვეს მათი ადრესატამდე მიტანა, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციები განკუთვნილია მათთვის, ვისაც უახლოეს მომავალში მსჯავრდებულებთან გრძელვადიანი ან საქმიანი ვიზიტი აქვს დაგეგმილი.

„ახალი თაობა“

რა კრიტერიუმებით მიიღებენ დევნილები ბინას?

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ დევნილთა განსახლების კრიტერიუმების პრეზენტაცია გამართა. სამინისტრომ დევნილ მოსახლეობას, არასამთავრობო სექტორს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საელჩოების წარმომადგენლებს ის დოკუმენტები წარუდგინა, რის მიხედვითაც მოხდება დევნილი მოსახლეობისთვის საცხოვრებელი ბინების განაწილება. როდის და რა კრიტერიუმებით მიიღებენ დევნილები ბინას, ამ საკითხზე განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი საუბრობს.

„ალია“

3000-მდე ადამიანი თავდაცვის უწყებაში დაბრუნებას ითხოვს

თავდაცვის სამინისტროში სამსახურში აღდგენის მოთხოვნით 3000-მდე განცხადებაა შესული, აქედან 500-მდე მათგანი დაკმაყოფილებულია. თავდაცვის სამინისტროში საკადრო წმენდა თითქმის ყველა მინისტრის მისვლის დროს ხდება, თუმცა, განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი ახალაიას დროს მიიღო – თუ ვინმე მცოდნე და გამოცდილი იყო, ყველა გაყარეს და ახლა მათი მოთხოვნა სამართლიანია.

„რეზონანსი“

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 12 მარტს

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com